დანართი №1

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

უმაღლესი განათლების პირველი და მეორე საფეხურის ფარგლებში განხორციელებული და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებისთვის

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა, პირველი საფეხური

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 30 აპრილი, 2026

დასკვნის წარდგენის თარიღი: 2 ივნისი, 2026

თბილისი

შინაარსი

I.

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა 5

III. პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი 7

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა 9

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა 13

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა 16

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა 18

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები 23

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	231187168
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მაია ჩქოტუა, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნანი არაბული, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ჯოჯუა, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამარ რაზმაძე, ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი, საქართველო

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის

შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)	მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)	Teacher training educational programme
უმაღლესი განათლების საფეხური / პროგრამა	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VI დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	არ ენიჭება კვალიფიკაცია
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	-
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის / საგნების / საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება [3]	მასწავლებლის მომზადების სერთიფიკატი, რომელიც აძლევს მას ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დაწყებით საფეხურზე მასწავლებლობის უფლებას კომპიუტერული ტექნოლოგიების მიმართულების შესაბამისად;
სწავლების ენა	ქართული

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება

მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

[3] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

ECTS კრედიტების რაოდენობა	60
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის გავლის უფლება აქვს: ა) დამოუკიდებელად არსებული პროგრამა ს შემთხვევაში: არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის, ან შესაბამისი სახელოვნებო/ სასპორტო პროფესიული განათლების მქონე პირს. პროგრამაზე დაიშვება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული და სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიმართულების შესაბამისი საგნის/საგნობრივი ჯგუფის ბაკალავრის/მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე ან შესაბამისი სახელოვნებო/სასპორტო პროფესიული განათლების მქონე პირი, რომელს წარმატებით აქვს ჩაბარებული კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით იმ საგნის გამოცდა, რომელიც განსაზღვრულია მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობად. კონკრეტულად, საგნობრივი კომპეტენციების დასადასტურებლად თითოეული მიმართულების შესაბამისად, პროგრამით განისაზღვრება შემდეგი

	საგნის გამოცდა: კომპიუტერული ტექნოლოგიები - მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტის ჩარიცხვის საფუძველია: ➢ საგნის გამოცდის წარმატებით ჩაბარება; ➢ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული გამოცდის ჩაბარება, რომელიც მოიცავს ● ტესტირებას - საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ პირის ჩარიცხვა, რომელიც არ არის საქართველოს მოქალაქე, რეგულირდება საქართველოს კანონით უმაღლესი განათლების შესახებ. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელების შემთხვევაში: პროგრამის გავლის უფლება აქვს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული საგნის ძირითად სწავლის სფეროში შემავალი ბაკალავრიატის ინფორმაციული ტექნოლოგიების საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტს, რომელსაც დაფარული აქვს ამ პროგრამით გათვალისწინებული კურსები/საგნები არანაკლებ 90 კრედიტის მოცულობით. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა
დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, სტუდენტების მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა	-

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა წარმოადგენს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომელიც ხორციელდება ქართულ ენაზე სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე. პროგრამა ეკუთვნის რეგულირებადი პროფესიის სფეროს და შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VI დონეს. იგი ხორციელდება როგორც დამოუკიდებლად არსებული 60-კრედიტიანი პროგრამის სახით, ისე ინფორმაციული ტექნოლოგიების ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული კომპიუტერული ტექნოლოგიების მიმართულებით.

პროგრამის მთავარ მიზანს წარმოადგენს კომპიუტერული ტექნოლოგიების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის პოზიციისათვის კომპეტენტური სპეციალისტების მომზადება. პროგრამა ორიენტირებულია სტუდენტთა მიერ თეორიული ცოდნის, პრაქტიკული უნარ-ჩვევებისა და პროფესიული ღირებულებების ათვისებაზე, რაც აუცილებელია ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად ეფექტიანი სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელებისათვის. პროგრამა ემყარება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას, მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტს, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემას, ასევე ეროვნულ სასწავლო გეგმასა და მასწავლებლის მომზადების უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელს.

პროგრამის ფარგლებში სტუდენტები იძენენ ყოვლისმომცველ ცოდნას პოზიტიური, ინკლუზიური და მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნასა და მართვაში; ეუფლებიან პიროვნების განვითარებისა და სწავლების თანამედროვე თეორიებს; ავითარებენ კომპეტენციებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაში, წარმართვასა და შეფასებაში სწავლების უნივერსალური დიზაინის, დიფერენცირებისა და მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინებით. პროგრამაში ყურადღება ეთმობა ტექნოლოგიებისა და ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით სასწავლო რესურსების შექმნასა და STEAM კონცეფციის ინტეგრირებას სასწავლო პრაქტიკაში. პროგრამა ასევე ითვალისწინებს განათლების მეცნიერებებში კვლევითი კომპეტენციების განვითარებასა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული სასკოლო პრაქტიკის სრულყოფისაკენ სწრაფვას.

პროგრამა მოიცავს 60 ECTS კრედიტს, რომლის ფარგლებშიც 46 კრედიტი გათვალისწინებულია სასწავლო კურსებისათვის (40 კრედიტი სავალდებულო და 6 კრედიტი არჩევითი), ხოლო 14 კრედიტი — სასკოლო პრაქტიკისა და პრაქტიკის კვლევისათვის. პროგრამა სტრუქტურულად მოიცავს სამ ძირითად მოდულს: პედაგოგიურ-ფსიქოლოგიურ მოდულს (25 ECTS), საგნობრივი მეთოდიკების მოდულს (15 ECTS) და პრაქტიკის მოდულს (14 ECTS), ასევე არჩევით მოდულს (6 ECTS). პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულზე გაიცემა შესაბამისი სერტიფიკატი, რომელიც მას ანიჭებს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დაწყებით საფეხურზე კომპიუტერული ტექნოლოგიების სწავლების უფლებას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

- აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 30 აპრილს ქ. თელავში. 23 აპრილს ექსპერტთა პანელმა ჩაატარა მოსამზადებელი შეხვედრა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელთან ერთად, NCEQE-ის მიერ მოწოდებული Zoom-ის ბმულის საშუალებით. აღნიშნული მოსამზადებელი შეხვედრის მიმდინარეობისას განხილულ და სათანადოდ დაზუსტებულ იქნა შეფასების პროცესთან დაკავშირებული ყველა საჭირო საკითხი. ექსპერტთა პანელს მთელი პროცესის განმავლობაში ეფექტიანი მხარდაჭერა გაუწია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელმა. პანელი, და კერძოდ მისი თავმჯდომარე, უღრმეს მადლიერებას გამოხატავს ვიზიტის მომზადებაში ჩართული ყველა პირის მიმართ. განსაკუთრებული მადლიერება გამოიხატება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის იმ წარმომადგენლის მიმართ, რომლის ხელმძღვანელობით მთელი პროცესი შეუფერხებლად წარიმართა. დასკვნის პროექტი მომზადდა მთელი გუნდის მიერ და რეკომენდაციებთან და რჩევებთან დაკავშირებით მიღწეულ იქნა ერთიანი შეთანხმება. პანელის თავმჯდომარე უღრმეს მადლიერებას გამოხატავს მთელი გუნდის მიმართ მათი აქტიური და ეფექტიანი მონაწილეობისათვის.

- საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა, მთლიანობაში, შეესაბამება დადგენილ სტანდარტებს. შეფასებული კომპონენტების უმეტესობა „შესაბამისობაშია“ ან „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან”.

პირველი სტანდარტის ფარგლებში, რომელიც მოიცავს საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებს, სწავლის შედეგებს და მათთან პროგრამის შესაბამისობას, პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს. სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი, ასევე ცალკეული სასწავლო კურსები კი მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს, რის გამოც პირველი სტანდარტის საერთო შეფასება განისაზღვრება როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

მეორე სტანდარტი, რომელიც სწავლების მეთოდოლოგიას, ორგანიზებასა და პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობას მოიცავს, საერთო შეფასებით „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. კერძოდ, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პრაქტიკული, კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარება, ასევე სწავლება-სწავლის მეთოდები სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს. სტუდენტთა შეფასების კომპონენტი კი მეტწილად შეესაბამება მათ.

მესამე სტანდარტი — სტუდენტთა მიღწევები და მათთან ინდივიდუალური მუშაობა — სრულად შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს. სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები სრულ შესაბამისობაშია სტანდარტთან. სამაგისტრო ხელმძღვანელობის კომპონენტი პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე არ არის რელევანტური.

სწავლების რესურსებით უზრუნველყოფის — მეოთხე — სტანდარტი საერთო შეფასებით „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. ადამიანური რესურსი, აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება, მატერიალური რესურსი, ასევე პროგრამის ბიუჯეტი და ფინანსური მდგრადობა სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს. სამაგისტრო ხელმძღვანელის კვალიფიკაციასთან დაკავშირებული კომპონენტი პროგრამის ბუნებიდან გამომდინარე არ არის რელევანტური.

მეხუთე სტანდარტი — სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები — საერთო შეფასებით „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. გარე ხარისხის შეფასება და პროგრამის მონიტორინგი სრულ შესაბამისობაშია სტანდარტთან, შიდა ხარისხის შეფასება კი მეტწილად შეესაბამება მის მოთხოვნებს.

- რეკომენდაციები

1. რეკომენდირებულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ერთიანი სქემის შემუშავება, რომელშიც ნათლად იქნება გაწერილი თითოეული სწავლის შედეგის გაზომვის ინსტრუმენტი, შესაბამისი სასწავლო კურსი და შეფასების პერიოდი. ამასთან, სქემის შედგენისას გათვალისწინებული უნდა იყოს არსებული ხარვეზი: პროფესიული განვითარების, რეფლექსიისა და კვლევითი კომპეტენციების (1.3, 2.3, 3.3) გაზომვა ამჟამად ნაკლებად სტრუქტურირებულია და შესაძლოა დამატებითი ინსტრუმენტების, პორტფოლიოს, თვითშეფასების ანგარიშის ან პრაქტიკის ანალიზის, ინტეგრირება გახდეს საჭირო (ქვესტანდარტი 1.3).

2. რეკომენდირებულია განისაზღვროს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ერთიანი სქემა, რომელშიც ნათლად იქნება გაწერილი თითოეული სწავლის შედეგის გაზომვის ინსტრუმენტი, შესაბამისი სასწავლო კურსი და შეფასების პერიოდი. (ქვესტანდარტი 1.3).

3. საგანმანათლებლო პროგრამის ლოგიკის განმტკიცებისა და სწავლის შედეგების მიღწევადობის გაზრდის მიზნით, რეკომენდებულია გადაიხედოს პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური მოდულის სასწავლო კურსების წინაპირობების სისტემა და შესაბამისი ცვლილებები აისახოს პროგრამის სასწავლო გეგმაში (ქვესტანდარტი 1.4).

4. რეკომენდებულია მეთოდიკის მოდულის სასწავლო კურსებში გადაიხედოს პროგრამის სწავლის შედეგების დაფარვა და საჭიროების შემთხვევაში პროგრამის შედეგების რუკის კორექტირებით ან სილაბუსებში შეფასების ინსტრუმენტების დამატება/გაძლიერებით უზრუნველყოფილი იყოს თითოეული სწავლის შედეგის მკაფიო და გაზომვადი ასახვა (ქვესტანდარტი 1.5).

5. რეკომენდირებულია ინსტიტუციამ შეფასების სისტემა შესაბამისობაში მოიყვანოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №3 ბრძანების მოქმედ რედაქციასთან (ქვესტანდარტი 2.4).

6. რეკომენდირებულია, რომ უნივერსიტეტმა შეიმუშავოს და სწავლებისა და კვლევის პროცესში დანერგოს გენერაციული ხელოვნური ინტელექტის გამოყენების მარეგულირებელი წესი (ქვესტანდარტი 2.4).

7. რეკომენდებულია შიდა შეფასების პროცედურების/მექანიზმების (ფორმების) დახვეწა, პროგრამის დოკუმენტაციის შემოწმების და ვალიდაციისას ტექნიკურ თუ მარეგულირებელ მოთხოვნებთან შეუსაბამობის პრევენციისა და აღმოფხვრის მიზნით (ქვესტანდარტი 5.1).

- რჩევები

1. მიზანშეწონილია სასწავლო კურსებში: კომპიუტერული ტექნოლოგიების სწავლების მეთოდიკა 1 და 2, ძირითადი ლიტერატურის ნაწილში მითითებული რიდერების გადახედვა და მათი აკადემიური გამჭვირვალობის გაძლიერება, რიდერებში გამოყენებული წყაროების მკაფიოდ მითითება და შესაბამისი ბიბლიოგრაფიული სიის დამატება (ქვესტანდარტი 1.5).
2. მიზანშეწონილია სასწავლო კურსების ბიბლიოგრაფიის განახლება კლასის მართვა და სასწავლო პროცესის ხელმძღვანელობა დაწყებით საფეხურზე და კვლევის მეთოდები განათლებაში (ქვესტანდარტი 1.5).
3. სასურველია სტუდენტური კლუბების განვითარება და ცნობადობის გაზრდა, რათა გაიზარდოს სტუდენტთა ჩართულობა კურიკულუმს მიღმა აქტივობებში (ქვესტანდარტი 3.1).
4. სასურველია კარიერული განვითარების სერვისების სისტემატიზაცია და გაფართოვება (ქვესტანდარტი 3.1).
5. სასურველია საერთაშორისო აქტივობებისა და საჯარო ლექციების რაოდენობის ზრდა, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტთა საერთაშორისო გამოცდილების გაღრმავებას (ქვესტანდარტი 3.1).
6. პროგრამის გრძელვადიანი სტაბილურობის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია კომპიუტერული ტექნოლოგიების სწავლების მეთოდიკის კომპონენტში შიდა, აფილირებული აკადემიური კადრის თანდათანობითი განვითარება (ქვესტანდარტი 4.1).
7. მიზანშეწონილია კომპიუტერული ტექნიკის ეტაპობრივი გაძლიერება (ქვესტანდარტი 4.4).

- საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად, მაგალითად:

- პერსონალი და ნაშრომების ხელმძღვანელები - პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული და საერთაშორისო პერსონალი); დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალის მონაცემები; აკადემიური/სამეცნიერო პერსონალისა და მოწვეული პერსონალის

თანაფარდობა; აფილირებული და აკადემიური პერსონალის თანაფარდობა; მაგისტრანტების და ხელმძღვანელების თანაფარდობა;

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში სულ 14 პირია ჩართული. მათ შორის 11 აფილირებული აკადემიური პერსონალი (3 პროფესორი და 8 ასოცირებული პროფესორი) და 3 მოწვეული სპეციალისტი. პროგრამაში სამეცნიერო პერსონალი და საერთაშორისო პერსონალი არ არის გათვალისწინებული, რაც პროგრამის ტიპისა და მოცულობის გათვალისწინებით გამართლებულია. დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხი გააჩნია 14 ჩართული პირიდან 13-ს (92.9%). ერთი მოწვეული სპეციალისტი დოქტორანტია. ეს მაჩვენებელი ადასტურებს, რომ პროგრამის სასწავლო კომპონენტების აბსოლუტური უმრავლესობა უმაღლესი საკვალიფიკაციო სტატუსის მქონე პირების მიერ ხორციელდება.

აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა შეადგენს 3.67:1 (11 აკადემიური პერსონალი/3 მოწვეული), რაც პროგრამის ინსტიტუციურ სტაბილურობას უზრუნველყოფს. პროგრამის სასწავლო კომპონენტების 78.6% (46 კრედიტიდან 36) აფილირებული აკადემიური პერსონალის მიერ ხორციელდება.

მაგისტრანტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობის მაჩვენებელი მოცემულ პროგრამაზე არ გამოიყენება, ვინაიდან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა სამაგისტრო კვალიფიკაციის მაძიებელ პროგრამას არ წარმოადგენს და შესაბამისად, სამეცნიერო ხელმძღვანელობის ინსტიტუტი მასზე არ ვრცელდება.

- სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები პროგრამაში ჩართულ პირთა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებელი (ბოლო 5 წლის განმავლობაში); საერთაშორისო ინდექსის მქონე რეცენზირებულ ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომების რაოდენობრივი მონაცემები; ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერეცნიებში პერსონალის მონაწილეობის მაჩვენებლები; სხვა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები;

პროგრამაში ჩართული პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი პროდუქტიულობა ბოლო 5 წლის განმავლობაში (2021–2026) საგრძნობლად მაღალია. სულ ამ პერიოდში დაფიქსირებულია 174 სამეცნიერო-კვლევითი ერთეული. სამეცნიერო პუბლიკაციების მიმართულებით პერსონალმა სულ გამოაქვეყნა 84 ნაშრომი, მათ შორის 46 ადგილობრივ სამეცნიერო გამოცემებში და 38 საერთაშორისო ჟურნალებში. საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომების მაღალი წილი (45.2%) მიუთითებს, რომ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი არა მხოლოდ ეროვნულ, არამედ საერთაშორისო სამეცნიერო დისკურსშიც აქტიურად არის ჩართული. ასევე მნიშვნელოვანია კონფერენციებში მონაწილეობის მაჩვენებელი. ბოლო 5 წლის განმავლობაშ პერსონალი 55-ჯერ გამოვიდა სამეცნიერო ფორუმებზე, მათ შორის 29 მოხსენება გაკეთდა ადგილობრივ, ხოლო 26 საერთაშორისო კონფერენციებზე. ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის პრაქტიკულად გათანაბრებული თანაფარდობა (53:47) ადასტურებს, რომ პერსონალი სისტემატიურად ინარჩუნებს საერთაშორისო სამეცნიერო ჩართულობას.

სხვა სამეცნიერო-კვლევითი მაჩვენებლების კატეგორიაში რომელიც მოიცავს საგრანტო პროექტებს, სახელმძღვანელოებსა და სასწავლო რესურსებს, ექსპერტის ან მრჩევლის ფუნქციებს ეროვნულ სტრუქტურებში დაფიქსირებულია 35 ერთეული, რაც პერსონალის პრაქტიკულ-გამოყენებით კვლევაში ჩართულობის ინდიკატორს წარმოადგენს.

მთლიანობაში, პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი პროდუქტიულობა შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს და სარწმუნოდ ადასტურებს პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო სამეცნიერო კომპეტენციის ფლობას.

- აკადემიური პერსონალის გადინების მაჩვენებელი (ბოლო 5 წლის განმავლობაში) (მაგ. პენსიაზე გასული, დაწესებულებიდან წასული, ახალი პერსონალის რაოდენობა და ა.შ.);

აკადემიური პერსონალის გადინების მაჩვენებელი ბოლო 5 წლის განმავლობაში ნულის ტოლია. ამავე პერიოდში გუნდს 2 ახალი წევრი შეემატა, რაც პროგრამის გუნდური შემადგენლობის ზრდის დადებითი ტენდენციაა. შედეგად, პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალი 9-დან 11-მდე გაიზარდა. მოწვეული პერსონალის შემადგენლობა მთელი პერიოდის განმავლობაში სტაბილური დარჩა. საყურადღებოა, რომ წარმოდგენილი მაჩვენებლები ასახავს პროგრამის შემუშავებისა და გუნდის ფორმირების ეტაპს. პროგრამა პირველადი აკრედიტაციის მაძიებელია და მისი განხორციელება ჯერ არ დაწყებულა, შესაბამისად, გადინების მაჩვენებელი სწავლის პროცესში ყალიბდება და პირველი სასწავლო ციკლის შემდეგ შეიძენს გაზომვად სახეს.

- ჩარიცხულ პირთა შესახებ მონაცემები (ბოლო 5 წლის განმავლობაში, მოქმედი პროგრამების შემთხვევაში); პროგრამაზე გამოცხადებული სტუდენტთა ადგილების რაოდენობა; სტუდენტთა პროგრესია სასწავლო წლების მიხედვით;

ვინაიდან პროგრამა პირველადი აკრედიტაციის მაძიებელია და მისი განხორციელება ჯერ არ დაწყებულა, ჩარიცხულ პირთა, სტუდენტთა პროგრესიისა და სასწავლო წლების მიხედვით განაწილების მონაცემები ამ ეტაპზე არ არსებობს. პროგრამაზე გათვალისწინებული სტუდენტთა მაქსიმალური კონტინგენტი განსაზღვრულია არაუმეტეს 20 სტუდენტი წელიწადში. აღნიშნული მაჩვენებლები ყალიბდება და გაზომვად სახეს შეიძენს პირველი სასწავლო ციკლის დაწყების შემდეგ.

- თვითშეფასების დანართში მოცემული სხვა რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.
  -

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)[4]

- ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე

ექსპერტთა ჯგუფი დეტალურად გაეცნო სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ „მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის" აკრედიტაციის დასკვნის პროექტთან დაკავშირებით წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას და თითოეული რეკომენდაცია ცალ-ცალკე შეაფასა. უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილმა არგუმენტაციამ — ცალკეული შემთხვევების გარდა — ვერ გააბათილა ექსპერტთა მიერ შემუშავებული, პროგრამის განვითარებაზე ორიენტირებული რეკომენდაციების მნიშვნელობა.

რეკომენდაცია №1 (ქვესტანდარტი 1.3). ექსპერტთა ჯგუფი ითვალისწინებს, რომ პროგრამაში მოქმედებს „პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია", რომელიც განსაზღვრავს ინდიკატორებს, მტკიცებულებებსა და სამიზნე ნიშნულებს. ამავდროულად, წარმოდგენილი არგუმენტაცია არ ცვლის დასკვნის პროექტში დაფიქსირებულ ფაქტობრივ გარემოებას იმის თაობაზე, რომ პროფესიული განვითარების, რეფლექსიისა და კვლევითი კომპეტენციების (1.3, 2.3, 3.3) გაზომვა ამჟამად ნაკლებად სტრუქტურირებულია. რეკომენდაცია ორიენტირებულია არა არსებული სისტემის უარყოფაზე, არამედ მისი შემდგომი დახვეწაზე — შესაბამისი ინსტრუმენტების (პორტფოლიო, თვითშეფასების ანგარიში, პრაქტიკის ანალიზი) უფრო მკაფიო

ინტეგრაციაზე. ის გარემოება, რომ უნივერსიტეტი თავადაც უშვებს ამ კომპეტენციების შეფასების ინსტრუმენტების დამატებითი დაზუსტების შესაძლებლობას, ადასტურებს რეკომენდაციის რელევანტურობას. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი რჩება თავის პოზიციაზე და რეკომენდაცია უცვლელად რჩება.

რეკომენდაცია №2 (ქვესტანდარტი 1.3). ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს უნივერსიტეტის არგუმენტს. მოცემული რეკომენდაცია შინაარსობრივად იმეორებს რეკომენდაცია №1-ში დაფიქსირებულ საკითხს და დასკვნის პროექტში ტექნიკურად აღმოჩნდა გადმოტანილი. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს უსდ-ის პოზიციას და რეკომენდაცია კონსოლიდირდა რეკომენდაცია №1-თან, რაც გამორიცხავს ერთი და იმავე გარემოების ორჯერ რეკომენდირებას.

რეკომენდაცია №3 (ქვესტანდარტი 1.4). ექსპერტთა ჯგუფი დადებითად აფასებს იმ გარემოებას, რომ უნივერსიტეტმა გაიზიარა რეკომენდაცია და გამოთქვა მზაობა, სასწავლო კურსის „სასწავლო პროცესის დაგეგმვა, წარმართვა და შეფასება" წინაპირობად მიუთითოს კურსი „ინკლუზიური განათლება", რაც ხელს შეუწყობს ამ ორი კურსის შინაარსობრივი თანამიმდევრობის გამყარებას. რეკომენდაცია უცვლელად რჩება, რათა უზრუნველყოფილ იქნეს შესაბამისი ცვლილების სასწავლო გეგმაში ასახვა.

რეკომენდაცია №4 (ქვესტანდარტი 1.5). უნივერსიტეტმა გაიზიარა რეკომენდაცია და გამოთქვა მზადყოფნა, მეთოდიკის მოდულის სასწავლო კურსებში („კომპიუტერული ტექნოლოგიების სწავლების მეთოდიკა 1" და „კომპიუტერული ტექნოლოგიების სწავლების მეთოდიკა 2") დაამატოს შეფასების ახალი ინსტრუმენტები — პორტფოლიოს კომპონენტი და პრაქტიკული სამუშაოს ფარგლებში რეფლექსიის წერა. აღნიშნული ცვლილება უზრუნველყოფს სწავლის შედეგების უფრო მკაფიო და გაზომვად ასახვას, რის გამოც რეკომენდაცია უცვლელად რჩება.

რეკომენდაცია №5 (ქვესტანდარტი 2.4). ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი არგუმენტაცია სადაც იკვეთება, რომ პროგრამაში გამოყენებული შეფასების ქულობრივი დიაპაზონები შინაარსობრივად შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №3 ბრძანებით დადგენილ შკალას, ხოლო დაფიქსირებული გარემოება უპირატესად ტერმინოლოგიურ-რედაქციული ხასიათისაა. ვინაიდან ის ტექნიკური უზუსტობა, რომელიც დაშვებულია ინსტიტუციის მიერ, არ ახდენს გავლენას სწავლების, შეფასების ან სტუდენტთა უფლებების რეალიზებაზე და არ ქმნის სტანდარტის მოთხოვნებთან არსებით შეუსაბამობას, საკითხის რეკომენდაციიდან რჩევის ფორმატში გადატანა მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული.

რეკომენდაცია №6 (ქვესტანდარტი 2.4). ექსპერტთა ჯგუფი რჩება თავის პოზიციაზე. მიუხედავად იმისა, რომ აკრედიტაციის მოქმედი სტანდარტები პირდაპირ არ მოითხოვს ხელოვნური ინტელექტის გამოყენების მარეგულირებელი პოლიტიკის არსებობას, მისი მზარდი გამოყენება ზრდის აკადემიური კეთილსინდისიერებისა და პლაგიატთან დაკავშირებულ რისკებს. განსაკუთრებით ICT მიმართულების პროგრამებში, სადაც AI ინსტრუმენტების გამოყენება ფართოდ არის გავრცელებული, მხოლოდ ზოგადი ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკები შესაძლოა საკმარისი არ იყოს, რადგან ისინი არ განსაზღვრავენ AI-ის გამოყენების დასაშვებ ფარგლებს. შესაბამისად, მიზანშეწონილია ინსტიტუციამ შეიმუშაოს შესაბამისი პოლიტიკა და სახელმძღვანელო პრინციპები, რაც ხელს შეუწყობს აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვას, შეფასების სანდოობის უზრუნველყოფასა და ტექნოლოგიების პასუხისმგებლიან გამოყენებას.

რეკომენდაცია №7 (ქვესტანდარტი 5.1). ექსპერტთა ჯგუფი რჩება თავის პოზიციაზე.

გაცემული რეკომენდაცია ემსახურება არა არსებული შიდა შეფასების სისტემის უარყოფას, არამედ მისი პრევენციული ფუნქციის გაძლიერებას — დოკუმენტური სიზუსტისა და ტექნიკურ თუ მარეგულირებელ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. შესაბამისად, რეკომენდაცია უცვლელად რჩება.

- ხელახალი აკრედიტაციისას, აკრედიტაციის პერიოდში მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მოკლე მიმოხილვა, ასევე, წინა აკრედიტაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების შესრულების ანალიზი.

N/A

[4] პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის.

	სტანდარტი	შეფასება
1.	საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	მეტწილად შესაბამიობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან
1.1	პროგრამის მიზნები	შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან
1.2	პროგრამის სწავლის შედეგები	შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან
1.3	პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	მეტწილად შესაბამიობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან
1.4	საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	მეტწილად შესაბამიობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან
1.5	სასწავლო კურსი/საგანი	მეტწილად შესაბამიობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან
2.	სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან
2.1	პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან
2.2	პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან
2.3	სწავლება-სწავლის მეთოდები	შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან
2.4	სტუდენტების შეფასება	მეტწილად შესაბამიობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

3.	სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან
3.1	სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან
3.2	მაგისტრანტთა ხელმძღვანელობა	-
4	სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან
4.1	ადამიანური რესურსი	შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან
4.2	მაგისტრანტისა ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	-
4.3	აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან
4.4	მატერიალური რესურსი	შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან
4.5	პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან
5	სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან
5.1	შიდა ხარისხის შეფასება	მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან
5.2	გარე ხარისხის შეფასება	შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან
5.3	პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

III. პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

სახელმძღვანელო პრინციპები და სტანდარტები (იხ. ბმული)

[უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტები]
[უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შეფასების სახელმძღვანელო]
[რჩევები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში/დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შეფასების თაობაზე]
[შეფასების კრიტერიუმები]

განმარტებები:

რეკომენდაციები - წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამებმა დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები - არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამების განვითარებისთვის

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.
1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა წარმოადგენს ახალ, პირველადი აკრედიტაციის მაძიებელ პროგრამას. ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა პროგრამის მიზნები სტანდარტის 1.1-ის ყველა კომპონენტის გათვალისწინებით და დაადგინა, რომ პროგრამა, მთლიანობაში, პასუხობს დადგენილ მოთხოვნებს.

პროგრამის მიზნები ჩამოყალიბებულია სამი ნომრირებული ამოცანის სახით და სამი ურთიერთდამოკიდებული სფეროს (ცოდნა, უნარები და ღირებულებები და ავტონომიურობა) ლოგიკური თანმიმდევრობით. პირველი მიზანი ორიენტირებულია ფართო თეორიული ცოდნის ჩამოყალიბებაზე; მეორე პრაქტიკული კომპეტენციების განვითარებაზე და მესამე კი ღირებულებით ორიენტაციაზე. პროგრამის მიზნების ეს სტრუქტურა კოჰერენტულია, ნათლადაა ფორმულირებული და პროგრამის სწავლის შედეგებთან ლოგიკურ კავშირს ქმნის.

მიზნები სრულ შესაბამისობაშია სწავლის სფეროსა და სწავლების საფეხურის თავისებურებებთან. პრაქტიკაზე ორიენტირებული კომპეტენციები (კლასის მართვა, სასწავლო გეგმის შედგენა, ეფექტური შეფასება) ერთგვარად განამტკიცებს ამ საფეხურის სპეციფიკას, ხოლო კომპიუტერული ტექნოლოგიების მიმართულებისთვის სავალდებულო ტექნოლოგიური კომპონენტი (ხელოვნური ინტელექტის ჩათვლით) ნათლადაა ინტეგრირებული მეორე მიზანში. მიზნების მიღწევადობა განპირობებულია პროგრამაზე შემოსვლის სპეციფიკური წინაპირობებით.

პროგრამის მიზნები შეესაბამება თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიასა და სტრატეგიული განვითარების გეგმის პრიორიტეტებს, ასევე განათლებისა და ჰუმანიტარულ

მეცნიერებათა ფაკულტეტის სტრატეგიულ ამოცანებს. უნივერსიტეტი კახეთის რეგიონში კვალიფიციური პედაგოგიური კადრების მომზადებაზე მიმართული ერთადერთი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაა, ხოლო კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებლის მომზადების პროგრამა ამ მისიის ლოგიკური გაგრძელება და შევსებაა. ეს კავშირი ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების პროცესში დადასტურდა.

შრომის ბაზრის ანალიზი ადასტურებს კომპიუტერული ტექნოლოგიების კვალიფიციური მასწავლებლების მოთხოვნას საქართველოში, განსაკუთრებით კახეთის რეგიონში. ეს სურათი კიდევ უფრო გამყარდა ვიზიტის ფარგლებში, სადაც დამსაქმებლები, კახეთის რეგიონის საჯარო სკოლების ხელმძღვანელები, ექსპერტთა ჯგუფის წინაშე სოლიდური წარმომადგენლობით გამოვიდნენ და ნათლად დააფიქსირეს კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებლის კადრის კრიტიკული ნაკლებობა რეგიონში. ეს გარემოება პროგრამის მიზნების ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობის დამაჯერებელ დადასტურებას წარმოადგენს.

უნივერსიტეტში არსებული მასწავლებლის მომზადების პროგრამები საჯარო და ხელმისაწვდომია და განთავსებულია უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.tesau.edu.ge). წინამდებარე პროგრამა კი განთავსდება ვებ-გვერდზე აკრედიტაციის მიღების შემდეგ. პროგრამის მიზნები შემუშავდა ფართო ჩართულობის პრინციპით: სამუშაო ჯგუფში შედიოდნენ პროგრამის ხელმძღვანელები, ფაკულტეტის დეკანი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების ხელმძღვანელები, სტუდენტი, დამსაქმებელი და კურსდამთავრებული. ვიზიტის ფარგლებში ინტერვიუები ადასტურებს, რომ პროგრამაში ჩართულ პირებს გააზრებული აქვთ პროგრამის მიზნები და მათი განხორციელების ლოგიკა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა
- უსდ-ს მისია, მიზნები და სტრატეგიული გეგმა
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნის ანალიზი
- ინტერვიუს შედეგები

[რეკომენდაციები]

-

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

-

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
1.1 პროგრამის მიზნები	შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია 9 შედეგის სახით, დაჯგუფებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VI დონის სამ დომენად: ცოდნა და გაცნობიერება (შედეგები 1.1–1.3), უნარები (შედეგები 2.1–2.3) და პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა (შედეგები 3.1–3.3). სტრუქტურა სამ თემატურ ბლოკს ეყრდნობა: პოზიტიური სასწავლო გარემო, სასწავლო პროცესის დაგეგმვა/წარმართვა/შეფასება და პროფესიული განვითარება, რაც ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VI დონის მოთხოვნებთან შესაბამისობის ნათელ ჩარჩოს ქმნის.

ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა პროგრამის სწავლის შედეგები მასწავლებლის მომზადების უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელთან მიმართებაში. დარგობრივი მახასიათებელი განსაზღვრავს 37 ცალკეულ შედეგს სამ დომენში; პროგრამა ამ შედეგებს 9 კომბინირებულ ფორმულირებაში წარმოადგენს, რაც დოკუმენტის პრინციპებით სრულად გამართლებულია. შინაარსობრივი ანალიზი ადასტურებს, რომ პროგრამის შედეგები დარგობრივი მახასიათებლის კომპეტენციებს ძირეულად ფარავს.

პროგრამის სტრუქტურა სრულ შესაბამისობაშია დარგობრივი მახასიათებლის სტრუქტურულ მოთხოვნებთან. ის მოიცავს პედაგოგიურ-ფსიქოლოგიურ მოდულს, საგნობრივი მეთოდიკის მოდულს (14 კრედიტი) , სასკოლო პრაქტიკას (10 კრედიტი), ჩაშენებული პრაქტიკის ელემენტებს სამ სასწავლო კურსში და პრაქტიკის კვლევას (4 კრედიტი).

პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებს შორის შესაბამისობა დოკუმენტირებულია „მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის" ცხრილში (დანართი 4). პროგრამის სამივე მიზანი ნათლად ასახულია სათანადო შედეგებში: პირველი მიზანი — 5 შედეგში (1.1–2.2), მეორე მიზანი — 8 შედეგში, მესამე მიზანი — 7 შედეგში, ძირითადად ღირებულებითი ორიენტაციის კომპონენტებში. ეს კავშირი ლოგიკური და გამჭვირვალეა.

სასწავლო კურსებსა და სწავლის შედეგებს შორის შესაბამისობა ასახულია „სწავლის შედეგების რუკაში" (დანართი 2). კომპიუტერული ტექნოლოგიების სწავლების მეთოდიკის კურსები (1 და 2) და „პრაქტიკის კვლევა" ყველა 9 შედეგს მოიცავს; სხვა კურსები სპეციფიკური ქვეკომპეტენციების განვითარებას ემსახურება. სასკოლო პრაქტიკა

ძირითადად პრაქტიკული და ფასეულობითი დომენების განმტკიცებისკენაა მიმართული. ეს განაწილება სათანადო და ლოგიკურია.

„სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულებში კომპეტენციების მიხედვით" (დანართი 5) განსაზღვრულია კონკრეტული, გაზომვადი ინდიკატორები — ყველა 9 შედეგისთვის ერთგვაროვნად: სტუდენტთა 80%-ის დადებითი შეფასება. ეს ნიშნული მიღწევადი და რეალისტურია, ვინაიდან პროგრამაზე შემოსვლის წინაპირობები — ბაკალავრის ხარისხი და საგნის გამოცდის ჩაბარება — საბაზისო კომპეტენციის მქონე სტუდენტებს გულისხმობს.

წინამდებარე პროგრამა კვალიფიკაციას არ ანიჭებს. მისი წარმატებით გავლის შემდეგ გაიცემა სერტიფიკატი, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დაწყებით საფეხურზე კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებლად მუშაობის უფლებას ანიჭებს. პროგრამის სწავლის შედეგები ამ სპეციფიკას სრულად ასახავს რაც პირდაპირ შეესაბამება მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის, მასწავლებლის კარიერული წინსვლის სქემისა და ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VI დონის ერთობლივ მოთხოვნებს.

პროგრამის სწავლის შედეგები ეყრდნობა შრომის ბაზრის ანალიზს, რომელიც ადასტურებს კომპიუტერული ტექნოლოგიების კვალიფიციური მასწავლებლების მაღალ მოთხოვნას, განსაკუთრებით კახეთის რეგიონში. ვიზიტის ფარგლებში დამსაქმებლებმა ნათლად დააფიქსირეს ამ კადრის კრიტიკული ნაკლებობა. სწავლის შედეგები ემსახურება სწორედ ამ ხარვეზის შევსებას პრაქტიკული, ეროვნულ სასწავლო გეგმაზე ორიენტირებული კომპეტენციების ჩამოყალიბებით, ტექნოლოგიებისა და ხელოვნური ინტელექტის ინტეგრაციის ჩათვლით.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია ინსტიტუციურ დონეზეა დამტკიცებული და ოთხეტაპიანი, კომბინირებული — პირდაპირი და არაპირდაპირი — შეფასების მოდელს ამკვიდრებს. შეფასების ინსტრუმენტები (ტესტი, ესსე, პროექტი, პორტფოლიო, სიმულაცია, პრაქტიკის ანგარიში) მრავალფეროვანია და შესაბამისია პროფესიული პროგრამის სპეციფიკისთვის. „სასწავლო კურსის შეფასების ფორმა" (ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, დანართი 3) ადასტურებს, რომ სწავლის შედეგებსა და შეფასების მეთოდებს შორის შესაბამისობის სისტემატური გადამოწმება ინსტიტუციურ ჩარჩოში გათვალისწინებულია.

ვიზიტის ფარგლებში ჩატარებულმა ინტერვიუებმა დაადასტურა, რომ სწავლის შედეგების შემუშავებაში მონაწილეობდნენ პროგრამის ხელმძღვანელები, ფაკულტეტის ადმინისტრაცია, დამსაქმებელი, სტუდენტი და კურსდამთავრებული. ეს ჩართულობა თვითშეფასების ანგარიშშიც არის დეკლარირებული.

პროგრამის სწავლის შედეგების გაცნობის კუთხით ინტერვიუებმა გამოავლინა, რომ დამსაქმებლებს პროგრამა წინასწარ გაეგზავნათ და ისინი სწავლის შედეგებს იცნობენ. უნივერსიტეტში დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ტარდება შეხვედრები, სადაც ხდება პროგრამის სწავლის შედეგების გაცნობა. ამ პრაქტიკის ამ კონკრეტულ პროგრამაზე სრული გავრცელება კი, ბუნებრივია, სტუდენტთა პირველი ჯგუფის ჩარიცხვის შემდეგ თუ განხორციელდება.

ვინაიდან პროგრამა პირველადი აკრედიტაციის მაძიებელია და სტუდენტთა მიღება ჯერ არ განხორციელებულა, კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარების, განათლების შემდეგ საფეხურზე გაგრძელებისა და სასერტიფიკატო გამოცდების შედეგების მონაცემები ამ ეტაპზე ობიექტურად ვერ იარსებებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა
- სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია
- სასწავლო კურსის შეფასების ფორმა
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი
- ინტერვიუს შედეგები

[რეკომენდაციები]

-

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

-

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
[1.2 პროგრამის სწავლის შედეგები]	შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი განსაზღვრულია „პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგიით" (აკადემიური საბჭოს №2 სხდომა, 23.02.2026). ეს ინსტიტუციურად დამტკიცებული დოკუმენტი ქმნის შეფასების სისტემის ფორმალურ საფუძველს და ოთხ თანმიმდევრულ ეტაპს მოიცავს: სწავლის

შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემების განსაზღვრა, კურიკულუმის ანალიზი შეფასების გეგმის მიხედვით, სწავლის შედეგების შეფასება, და შედეგების გამოყენება პროგრამის გაუმჯობესებისთვის. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ითვალისწინებს პირდაპირ და არაპირდაპირ მეთოდებს. უნივერსიტეტში არსებული პრაქტიკის შესაბამისად პირდაპირი შეფასება ხდება სასწავლო კურსების ფარგლებში — ტესტი, ესსე, პროექტი, პორტფოლიო, სიმულაცია, პრაქტიკის ანგარიში; არაპირდაპირი შეფასება გათვალისწინებულია სტუდენტებისა და დამსაქმებლების კმაყოფილების კვლევების სახით.

ვინაიდან პროგრამა ახალია და განხორციელება ჯერ არ დაწყებულა, ამ კონკრეტული პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მონაცემები არ არის ხელმისწავდომი. უსდ-ს მხრიდან წარმოდგენილია ფაკულტეტის მომიჯნავე პროგრამებზე — დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო (300 კრ.) და მასწავლებლის მომზადების 60-კრედიტიანი პროგრამებზე — 2019–2024 წლების შეფასების ანგარიში. ამასთანავე, ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავს რომ წარმოდგენილი ანგარიში ასახავს სტუდენტთა ქულობრივ განაწილებას (A–F კატეგორიებით), მაგრამ არა კონკრეტული სწავლის შედეგების მიღწევის მონაცემებს. ამასთან, არ არსებობს ინტეგრირებული დოკუმენტი, სადაც ნათლად იქნებოდა გაწერილი რომელი სწავლის შედეგი რომელი სასწავლო კურსით/კურსებით მოწმდება, კონკრეტულად რა შეფასების ინსტრუმენტით, რა პერიოდულობით. „სწავლის შედეგების შეფასების რუკა" (დანართი 3) და „სამიზნე ნიშნულები კომპეტენციების მიხედვით" (დანართი 5) ამ სისტემის ნაწილობრივ ჩარჩოს ქმნის, მაგრამ ის ზოგადი ხასიათისაა და ზემოაღნიშნულ კითხვებს სრულყოფილად ვერ პასუხობს.

სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია (საქაღალდე 5) განსაზღვრავს რომ "ყველა სწავლის შედეგის განვითარება უნდა მოხდეს სამივე დონეზე" (იხ. მეთოდოლოგიის თავი III კურიკულუმის რუკა, გვ. 3); სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის მიხედვით სწავლის შედეგები - #1 და #3 არ გადის განმტკიცების დონეზე.

აგრეთვე, არსებობს შეუსაბამობები (საქაღალდე 2. პროგრამა და სილაბუსები) - დანართი 3 და დანართი 2-ს შორის

- კლასის მართვა
  - დანართი 2-ის მიხედვით -არ გადის #6 და #8 სწავლის შედეგზე
  - დანართი 3-ის მიხედვით -არ გადის #6 და #9 სწავლის შედეგზე
- განვითარების ფსიქოლოგია
  - დანართი 2-ის მიხედვით -არ გადის #5-9 სწავლის შედეგზე
  - დანართი 3-ის მიხედვით -არ გადის #6 - 9 სწავლის შედეგზე

სააკრედიტაციო პაკეტში წარმოდგენილი სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია მოიცავს დანართებს - პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების რუკა და პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, რომლებიც დასახელებების მიუხედავად, იდენტურია. თუმცა, სწავლის შედეგების მიღწევის შეფასებისთვის მეთოდოლოგიით მოთხოვნილ საჭირო ინფორმაციას (სასწავლო კურსი, რომლითაც სწავლის შედეგის მიღწევა იზომება, შეფასების ინსტრუმენტი/აქტივობა/ კონკრეტული შესასრულებელი დავალება, შეფასების პერიოდი, სამიზნე ნიშნული, პასუხისმგებელი პირი) გადმოსცემს. თუ ეს დოკუმენტები რეალურად

განსხვავებულ ფუნქციებს ატარებს, საჭიროა მათი შინაარსის გამიჯვნა და სახელწოდებების შესაბამისობაში მოყვანა.

შეფასების კომპონენტების ანალიზი აჩვენებს, რომ პრაქტიკული, დაგეგმვისა და ტექნოლოგიური კომპეტენციები (2.1, 2.2) შედარებით სისტემურად არის დაფარული, ხოლო პროფესიული განვითარების, რეფლექსიისა და კვლევითი კომპეტენციების (1.3, 2.3, 3.3) გაზომვა ნაკლებად სტრუქტურირებულია. მიზანშეწონილია პროგრამის სწავლის შედეგების რუკაში თითოეული შედეგის შეფასების კომპონენტებთან შესაბამისობის გადამოწმება და, საჭიროების შემთხვევაში, ან რუკის დაზუსტება, ან დამატებითი ინსტრუმენტების — პორტფოლიოს, თვითშეფასების ანგარიშის, პრაქტიკის ანალიზის — ინტეგრირება.

სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია ითვალისწინებს დამსაქმებელთა და სტუდენტთა კმაყოფილების კვლევებს. ვიზიტის ფარგლებში დამსაქმებლები ინტერვიუზე სოლიდური წარმომადგენლობით იყვნენ წარმოდგენილნი და ნათლად გამოხატეს პროგრამის შინაარსთან დაკავშირებული პოზიციები. ამ კუთხით ინსტიტუციური ჩართულობის ნება და პრაქტიკა დასტურდება. ვინაიდან პროგრამა ახალია, გარე მხარეების ფორმალური ჩართულობა შეფასების ციკლში კვლევების, კითხვარებისა და ფოკუს-ჯგუფების სახით ჯერ განხორციელებული ვერ იქნება, თუმცა მისი განხორციელების სტრუქტურა მეთოდოლოგიაში გათვალისწინებულია.

ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუები ადასტურებს, რომ პროგრამის ხელმძღვანელები და სასწავლო კურსების ლექტორები ფლობენ სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს. სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგიის შესაბამისად, სწავლის შედეგებს აფასებს პროგრამის ხელმძღვანელი სასწავლო კურსების ლექტორებთან ერთად და ანგარიშს წარადგენს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში. სამსახური შეიმუშავებს დასკვნებს და რეკომენდაციებს, რომლებიც პროგრამის განვითარების ჯგუფს გადაეცემა. ეს სტრუქტურა ყოვლისმომცველია და ინსტიტუციური პასუხისმგებლობის ნათელ ჩარჩოს ქმნის. ამავდროულად, შეფასების ციკლის სათანადოდ ამოქმედება, კერძოდ, სწავლის შედეგების მიღწევის სეგმენტირებული ანალიზი და ინტერვენციის შესახებ გადაწყვეტილებათა მიღება მოითხოვს, რომ პერსონალი ფლობდეს არა მხოლოდ მეთოდოლოგიის ცოდნას, არამედ მისი პრაქტიკული გამოყენების გამოცდილებასაც. ამ კუთხით სასურველია ფორმალური მხარდამჭერი ღონისძიება

პროგრამის სწავლსი შედეგების შეფასების გაცნობის კუთხით უნივერსიტეტს დამკვიდრებული პრაქტიკა გააჩნია — ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუები ადასტურებს, რომ შეფასების შედეგები სტუდენტებთან, დამსაქმებლებთან და ფაკულტეტის ხელმძღვანელობასთან კომუნიკაციის ნაწილს წარმოადგენს. ეს ინსტიტუციური პრაქტიკა მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზეც გავრცელდება.

სტუდენტთა ნაშრომები, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები ამ ეტაპზე არ არის ხელმისაწვდომი, ვინაიდან პროგრამა ახალია და მისი განხორციელება ჯერ არ დაწყებულა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა

- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების რუკა (დანართი 3)
- სამიზნე ნიშნულები კომპეტენციების მიხედვით (დანართი 5)
- საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების ანგარიში (განათლებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, 2019–2024)
- სასწავლო კურსის შეფასების ფორმა
- ინტერვიუს შედეგები

[რეკომენდაციები]

- რეკომენდირებულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ერთიანი სქემის შემუშავება, რომელშიც ნათლად იქნება გაწერილი თითოეული სწავლის შედეგის გაზომვის ინსტრუმენტი, შესაბამისი სასწავლო კურსი და შეფასების პერიოდი. ამასთან, სქემის შედგენისას გათვალისწინებული უნდა იყოს არსებული ხარვეზი: პროფესიული განვითარების, რეფლექსიისა და კვლევითი კომპეტენციების (1.3, 2.3, 3.3) გაზომვა ამჟამად ნაკლებად სტრუქტურირებულია და შესაძლოა დამატებითი ინსტრუმენტების, პორტფოლიოს, თვითშეფასების ანგარიშის ან პრაქტიკის ანალიზის, ინტეგრირება გახდეს საჭირო.

- რეკომენდირებულია განისაზღვროს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ერთიანი სქემა, რომელშიც ნათლად იქნება გაწერილი თითოეული სწავლის შედეგის გაზომვის ინსტრუმენტი, შესაბამისი სასწავლო კურსი და შეფასების პერიოდი.

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

-

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამა შემუშავებულია სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამრების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, განვითარების და გაუქმების ინსტრუქციის შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს უნივერსიტეტში მოქმედ მეთოდოლოგიას.

პროგრამა ხორციელდება ორი სახით: დამოუკიდებელად და ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში.

დამოუკიდებელად არსებული საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში პროგრამა ხორციელდება ერთი სასწავლო წლის განმავლობაში. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ხუთი სემესტრის განმავლობაში, აღნიშნული საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მე-4 სემესტრიდან დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისად.

- პროგრამა 60 კრედიტიანია და მოიცავს შემდეგ მოდულებს;
- პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური მოდული - 25 ECTS;
- საგნობრივი მეთოდიკების მოდული - 15 ECTS;
- პრაქტიკის მოდული - 14 ECTS;
- არჩევითი მოდული - 6 ECTS.

კურიკულუმის მიხედვით სტუდენტებს შეეთავაზებათ 7 საგანი/კურსი ერთ სემესტრში და 7 საგანი/კურსი (მათ შორის 14-კრედიტიანი პრაქტიკის მოდული) მეორე სემესტრში. პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ECTS კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის შესაბამისად, რასაც ადასტურებს სავალდებულო და არჩევითი კომპონენტების მკაფიო სტრუქტურა, კრედიტების განაწილება.

პროგრამის სასწავლო გეგმის შესწავლამ გამოავლინა, რომ პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური მოდულის კომპონენტები სემესტრული განაწილების თვალსაზრისით ლოგიკურ თანმიმდევრობას იცავს — საფუძვლის მიმცემი დისციპლინები ქრონოლოგიურად წინ უძღვის მათზე შინაარსობრივად დამყარებულ სასწავლო კურსებს. ეს გარემოება მოწმობს, რომ პროგრამის შემუშავებისას გათვალისწინებული იყო კომპონენტებს შორის კონცეპტუალური კავშირი. თუმცა, სასწავლო კომპონენტების აღწერებში ეს კავშირი ფორმალური წინაპირობის სახით არ არის დაფიქსირებული, რაც ართულებს სასწავლო გეგმის შიდა ლოგიკის სტუდენტისა და დაინტერესებული მხარეებისთვის ცხადყოფას. რეკომენდებულია, პროგრამის დოკუმენტაციაში კომპონენტებს შორის არსებული შინაარსობრივი დამოკიდებულება ასახულ იქნეს ფორმალური წინაპირობების სახით.

პროგრამა ეფუძნება შრომის ბაზრის ანალიზს, პროგრამის შიდა და გარე შეფასებას. პროგრამის შინაარსში გათვალისწინებულია ინტერნაციონალიზაციის საკითხები. სასწავლო კურსებში გამოყენებულია სხვადასხვა უცხოური წყაროები როგორც ძირითად მასალაში თარგმნილი სახით, ასევე დამატებითი საკითხავების სახით.

ინტერვიუებიდან იკვეთება, რომ პროგრამის შემუშავება მოიცავდა თანამშრომლობით პროცესს, რომელშიც მონაწილეობენ აკადემიური პერსონალი, დარგის სპეციალისტები და გარე ორგანიზაციები, რაც დადებითად აისახება პროგრამის შინაარსის აქტუალობაზე და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;
- ბაზრის კვლევა;
- შიდა და გარე შეფასებები;
- უსდ-ს რეგულაციები;
- ინტერვიუს შედეგები

[რეკომენდაციები]

- საგანმანათლებლო პროგრამის ლოგიკის განმტკიცებისა და სწავლის შედეგების მიღწევადობის გაზრდის მიზნით, რეკომენდებულია გადაიხედოს პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური მოდულის სასწავლო კურსების წინაპირობების სისტემა და შესაბამისი ცვლილებები აისახოს პროგრამის სასწავლო გეგმაში.

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

-

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	მეტწილად შესაბამისია სტანდარტის მოთხოვნებთან

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის ყველა სავალდებულო სასწავლო კომპონენტი ლოგიკურ და სისტემატიზებულ კავშირშია პროგრამის ცხრა სწავლის შედეგთან რომელიც სამ ბლოკად არის დაჯგუფებული: ცოდნა და გაცნობიერება (1.1, 1.2, 1.3), უნარები (2.1, 2.2, 2.3) და პასუხისმგებლობა/ავტონომიურობა (3.1, 3.2, 3.3).

პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური მოდულის კომპონენტები ერთობლივად ფარავს პროგრამის ყველა სწავლის შედეგს. ყოველი სილაბუსი ნათლად ასახავს ცოდნის, უნარების და პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის კატეგორიებს.

საგნობრივი მეთოდიკების მოდულში კომპიუტერული ტექნოლოგიების სწავლების მეთოდიკა 1 და 2, ორივე ფარავს პროგრამის ყველა ცხრა სწავლის შედეგს. STEAM კონცეფცია სწავლა-სწავლების პროცესში შვიდ შედეგს. სასწავლო კურსების შინაარსის, სასწავლო გეგმისა და სწავლა-სწავლების მეთოდების ანალიზის საფუძველზე იკვეთება, რომ საგნობრივი თემატიკების მოდული უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მნიშვნელოვან ნაწილთან შესაბამისობას, კერძოდ: პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნასა და მართვას (1.1, 2.1, 3.1), სასწავლო პროცესის დაგეგმვას, განხორციელებასა და შეფასებას (1.2, 2.2) და ნაწილობრივ პროფესიული განვითარების მიმართულებას (1.3, 2.3, 3.3).

ამასთან, შეფასების კომპონენტების (შუალედური გამოცდა, პრაქტიკული სამუშაოები, პრეზენტაცია, სემინარები) ანალიზი აჩვენებს, რომ პროგრამის შედეგები ძირითადად ეფექტურად იზომება პრაქტიკული, დაგეგმვისა და ტექნოლოგიური კომპეტენციების მიმართულებით (განსაკუთრებით 2.2 და 2.1), ხოლო პროფესიული განვითარების, რეფლექსიისა და კვლევითი კომპეტენციების (1.3, 2.3, 3.3) შეფასება შედარებით ნაკლებად სისტემურია და საჭიროებს დამატებით განმამტკიცებელ მექანიზმებს, მაგალითად პორტფოლიოს, თვითშეფასების ანგარიშის ან პრაქტიკის ანალიზის დავალების ინტეგრირებას ან სხვა.

პრაქტიკის მოდულის ორი კომპონენტი, სასკოლო პრაქტიკა და პრაქტიკის კვლევა, ფოკუსირებულია უნარების (2.1–2.3) და პასუხისმგებლობის (3.1–3.3) შედეგებზე, რაც ლოგიკურია. სასკოლო გარემო ემსახურება ადრე შეძენილი თეორიული ცოდნის პრაქტიკულ განვითარებას.

პროგრამის კომპონენტების შინაარსი მთლიანობაში თანმიმდევრულ და დასაბუთებულ შესაბამისობაშია განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან. კომპონენტების თემატური სტრუქტურა ლოგიკურად მოიცავს მასწავლებლის პროფესიული საქმიანობის სამ ძირითად სფეროს: სასწავლო გარემოს მართვასა და ინკლუზიურობას, სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და წარმართვას, და კვლევითი-რეფლექსიური პრაქტიკის განვითარებას. ამ სამ სფეროს შორის შინაარსობრივი განაწილება სისტემური ხასიათისაა და უზრუნველყოფს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VI დონის მოთხოვნებთან შესაბამისობას.

პროგრამის გამორჩეული ძლიერი მხარეა თეორიული და პრაქტიკული კომპონენტების ინტეგრაცია. პრაქტიკა ჩართულია არა როგორც ცალკე მდგომი კომპონენტი, არამედ როგორც სასწავლო ციკლის ორგანული ნაწილი. კომპონენტებში ჩაშენებული სასკოლო პრაქტიკის სეგმენტები (ინკლუზიური განათლებაში, კვლევის მეთოდებში) და ავტონომიური სასკოლო პრაქტიკის ბლოკი ერთად ქმნის პრაქტიკაზე დაფუძნებული სწავლის კომპლექსურ სისტემას.

კომპიუტერული ტექნოლოგიებისა და STEAM-ის კომპონენტები უზრუნველყოფს სტუდენტთა ციფრული და ტექნოლოგიური კომპეტენციების განვითარებას, მათ შორის თანამედროვე საგანმანათლებლო ტექნოლოგიების გამოყენებას და სასწავლო პროცესში ინტეგრირებას. აღნიშნული კომპონენტები ხელს უწყობს მომავალი მასწავლებლების მიერ ინოვაციური, ტექნოლოგიებით გამდიდრებული და მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების პრაქტიკის ჩამოყალიბებას.

პროგრამის სასწავლო კომპონენტების კრედიტები და საკონტაქტო/დამოუკიდებელი საათების განაწილება ადეკვატურია. საკონტაქტო/დამოუკიდებელი საათების თანაფარდობა ასახავს კომპონენტთა სპეციფიკას. 3-კრედიტიანი თეორიული პედაგოგიური კომპონენტებისთვის 32:43 შეფარდება სტუდენტს საკმარის დამოუკიდებელ სამუშაო დროს აძლევს, ხოლო ინკლუზიური განათლების 5-კრედიტიანი კომპონენტი გაზრდილი საკონტაქტო საათებით (45 სთ.) ჩაშენებული პრაქტიკის 10-საათიანი ბლოკის გამო გამოირჩევა, რაც შინაარსობრივად სრულად გამართლებულია. კომპიუტერული ტექნოლოგიების სწავლების მეთოდიკის კომპონენტებში 60:90 შეფარდება — მეტი საკონტაქტო საათი — გამართლებულია, ვინაიდან კომპონენტი ინტენსიური პრაქტიკული IT-სამუშაო უნარებს ითხოვს (24 სთ. პრაქტიკული მეცადინეობა). სასკოლო პრაქტიკაში 94:156 შეფარდება ადეკვატურია — 91 სთ. სასკოლო გარემოში, 156 სთ. კი გეგმებისა, პორტფოლიოსა და რეფლექსიის მომზადებისთვის. პრაქტიკის კვლევის 45:55 შეფარდება გამართლებულია ოთხ ეტაპიანი პრაქტიკული დავალების სირთულით.

ყველა სასწავლო კომპონენტი 100-ქულიანი, მრავალკომპონენტიანი შეფასების სისტემით სარგებლობს: შუალედური შეფასება და დასკვნითი გამოცდა. გაწერილია შუალედური და დასკვნითი შეფასების კომპეტენციის მინიმალური ზღვარი. ყველა სილაბუსი შეფასების ინსტრუმენტებს დეტალური, ქულათა ინდიკატორებით განსაზღვრულ რუბრიკებთან აკავშირებს, რაც შეფასების გამჭვირვალობასა უზრუნველყოფს.

უნდა აღინიშნოს სასკოლო პრაქტიკის შეფასება რომელიც განსაკუთრებული სიმწიფით გამოირჩევა. ის მოიცავს შეფასების შვიდ კომპონენტი — კურიკულუმი, თემატური ერთეულის დაგეგმვა/განხორციელება, სასწავლო პროექტი, ღონისძიების გეგმა, ღონისძიების განხორციელება, ორი სახის რეფლექსია რომელიც დასკვნით პორტფოლიოსა და პრეზენტაციასთან ერთად ქმნის ყოვლისმომცველ შეფასების სისტემას, სადაც საგნის მასწავლებელი და უნივერსიტეტის ხელმძღვანელი ორივე ჩართულია.

სასწავლო კომპონენტებში მითითებული ძირითადი ლიტერატურა ძირითადად შეესაბამება კომპონენტების სწავლის შედეგებს, სფეროს სამეცნიერო სტანდარტებს და სასწავლო კომპონენტების სპეციფიკას. თუმცა სასურველია რამოდენიმე საგნის ლიტერატურა შეივსოს უფრო თანამედროვე ლიტერატურით. კერძოდ,

- სასწავლო კურსებში: კომპიუტერული ტექნოლოგიების სწავლების მეთოდიკა 1 და 2, ძირითადი ლიტერატურის (მაგ." ა. ბენაშვილი. კომპიუტერული ტექნოლოგიების სწავლების მეთოდიკა. ნაწილი 1. რიდერი. 2026" და," ა. ბენაშვილი, თ. ლაჩაშვილი. კომპიუტერული ქსელები სალექციო კურსი, თესაუ, 2022 – 172 გვ.") ნაწილში მითითებული რიდერების გადახედვა და მათი აკადემიური გამჭვირვალობის გაძლიერება, რიდერებში გამოყენებული წყაროების მკაფიოდ მითითება და

შესაბამისი ბიბლიოგრაფიული სიის დამატება, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც ისინი წარმოადგენს თარგმნილ ან სხვადასხვა წყაროებიდან კომპილირებულ მასალას.

- კლასის მართვა და სასწავლო პროცესის ხელმძღვანელობა დაწყებით საფეხურზე კომპონენტის ძირითადი ლიტერატურა ძირითადად 2014 წლის ჩათვლით არის. მიზანშეწონილია 2015 წლის შემდგომი ნაშრომების, განსაკუთრებით SEL (სოციალურ-ემოციური სწავლება) სფეროს ჩართვა.
- კვლევის მეთოდების განათლებაში კომპონენტი კოჰენ-მანიონ-მორისონის მე-6 გამოცემას (2011) იყენებს; სახელმძღვანელოს უახლეს (მე-8, 2018) გამოცემაზე გადასვლა სასარგებლო იქნება.

აღსანიშნავია, რომ ძირითადი კონცეპტები არსებითად უცვლელია, თუმცა უახლესი გამოცემებით ჩანაცვლება სასურველია აკადემიური სიახლის და სტუდენტთა რესურსების თანამედროვეობის უზრუნველსაყოფად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა
- სილაბუსები
- ინტერვიუს შედეგები

[რეკომენდაციები]

- რეკომენდირებულია მეთოდიკის მოდულის სასწავლო კურსებში გადაიხედოს პროგრამის სწავლის შედეგების დაფარვა და საჭიროების შემთხვევაში პროგრამის შედეგების რუკის კორექტირებით ან სილაბუსებში შეფასების ინსტრუმენტების დამატება/გაძლიერებით უზრუნველყოფილი იყოს თითოეული სწავლის შედეგის მკაფიო და გაზომვადი ასახვა.

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- მიზანშეწონილია სასწავლო კურსებში: კომპიუტერული ტექნოლოგიების სწავლების მეთოდიკა 1 და 2, ძირითადი ლიტერატურის ნაწილში მითითებული რიდერების გადახედვა და მათი აკადემიური გამჭვირვალობის გაძლიერება, რიდერებში გამოყენებული წყაროების მკაფიოდ მითითება და შესაბამისი ბიბლიოგრაფიული სიის დამატება.

- მიზანშეწონილია სასწავლო კურსების ბიბლიოგრაფიის განახლება კლასის მართვა და სასწავლო პროცესის ხელმძღვანელობა დაწყებით საფეხურზე და კვლევის მეთოდები განათლებაში.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

წარმოდგენილ საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების თვალსაზრისით, უნივერსიტეტი იცავს ზოგადად მიღებულ პროცედურებს. მიღების მოთხოვნები შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას. პროგრამაზე მიღების წინაპირობები გაწერილია პროგრამაში, რომლის თანახმადაც, ჩარიცხვის წინაპირობებია:

ა) დამოუკიდებლად არსებული პროგრამის შემთხვევაში:

პროგრამაზე დაიშვება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული და საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული მიმართულების შესაბამისი საგნის/საგნობრივი ჯგუფის ბაკალავრის/მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც წარმატებით აქვს ჩაბარებული კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით იმ საგნის გამოცდა, რომელიც განსაზღვრულია მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობად.

კონკრეტულად, საგნობრივი კომპეტენციების დასადასტურებლად, თითოეული მიმართულების შესაბამისად, პროგრამით განისაზღვრება შემდეგი საგნის გამოცდა: მიმართულება: კომპიუტერული ტექნოლოგიები.

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტის ჩარიცხვის საფუძველია: საგნის გამოცდის წარმატებით ჩაბარება;

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული გამოცდის ჩაბარება, რომელიც მოიცავს ტესტირებას – საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“.

პირის ჩარიცხვა, რომელიც არ არის საქართველოს მოქალაქე, რეგულირდება საქართველოს კანონით „უმაღლესი განათლების შესახებ“.

ბ) ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელების შემთხვევაში: პროგრამის გავლის უფლება აქვს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული საგნის ძირითად სწავლის სფეროში შემავალი ბაკალავრიატის ინფორმაციული ტექნოლოგიების საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტს, რომელსაც დაფარული აქვს ამ პროგრამით გათვალისწინებული კურსები/საგნები არანაკლებ 90 კრედიტის მოცულობით.

პროგრამის მიღების წინაპირობები ასახავს პროგრამის სპეციფიკას და უზრუნველყოფს იმ პირების ჩარიცხვას, რომლებსაც აქვთ წარმატებით დასრულებისთვის საჭირო ცოდნა, უნარები და კომპეტენციები.

თითოეულ პროგრამაზე მიღებული სტუდენტების რაოდენობის დასადგენად, უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს დოკუმენტი: “პერსონალისა და სტუდენტების თანაფარდობისა და სტუდენტთა ზღვრული კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია”, რომელიც ითვალისწინებს ადამიანურ და მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებს, პროგრამის მოთხოვნის დინამიკას, სასწავლო პროცესის ანალიზს, დასაქმების მაჩვენებლებს; დაწესებულება პროგრამაზე სტუდენტთა მიღებას გეგმავს ამ მეთოდოლოგიის შესაბამისად; საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამაზე მისაღებ პირთა მაქსიმალური კონტინგენტი - ყოველწლიურად არაუმეტეს 20 პირის მიღება;

პროგრამა არის ახალი. ინტერვიუებიდან და ვებგვერდზე განთავსებული დაწესებულებაში მოქმედი პროგრამების შესწავლის შედეგად დგინდება, რომ პროგრამის წინაპირობების შესახებ ინფორმაცია განთავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე, რაც უზრუნველყოფს ყველა დაინტერესებული პირის ინფორმირებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა
- უსდ-ს მარეგულირებელი დოკუმენტები;
- დაწესებულების ვებგვერდი;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები;

[რეკომენდაციები]

-

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

-

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების განვითარებას. პრაქტიკული კომპონენტი პროგრამაში წარმოდგენილია როგორც ცალკეულ სასწავლო კურსებში ინტეგრირებული პრაქტიკული აქტივობების, ასევე დამოუკიდებელი მოდულის „სასკოლო პრაქტიკის“ სახით, რომელიც სავალდებულო სასწავლო კურსს წარმოადგენს და მოიცავს 10 კრედიტს.
ამასთან, საგნობრივი მეთოდიკების მოდული (ჯამში 15 კრედიტი), რომელიც აერთიანებს სასწავლო კურსებს: „კომპიუტერული ტექნოლოგიების სწავლების მეთოდიკა 1“, „კომპიუტერული ტექნოლოგიების სწავლების მეთოდიკა 2“ და „STEAM კონცეფცია სწავლა-სწავლების პროცესში“, მოიცავს პრაქტიკულ მეცადინეობებსა და პრაქტიკულ დავალებებს. სასწავლო კურსების სილაბუსებში განსაზღვრულია სტუდენტთა შეფასების შესაბამისი კომპონენტები პრაქტიკული დავალებების ფარგლებში.
უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს მემორანდუმები პოტენციურ დამსაქმებლებთან. ინტერვიუების პროცესში დამსაქმებლების წარმომადგენლებმა გამოხატეს მხარდაჭერა პროგრამაში პრაქტიკული კომპონენტების ინტეგრირების მიმართ. მათი განცხადებით, ისინი იცნობენ პროგრამას და ჩართული იყვნენ მისი შემუშავების პროცესში. ამასთანავე, აღნიშნეს, რომ უნივერსიტეტთან უკვე თანამშრომლობენ სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისა და ერთობლივი პროექტების ფარგლებში.
სტუდენტების კვლევითი კომპეტენციების გასავითარებლად, პროგრამა მოიცავს შემდეგ ძირითად კურსებს „პრაქტიკის კვლევა“, “კვლევის მეთოდები განათლებაში”. პრაქტიკული, კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარება სტრუქტურირებულია თითოეული კურსისთვის მკაფიოდ განსაზღვრული მიზნების, სასწავლო დატვირთვისა და მოსალოდნელი შედეგების მიხედვით.
სტუდენტების კვლევით საქმიანობაში ჩასართავად, უნივერსიტეტი აწყობს სტუდენტურ კონფერენციებსა და სტარტაპ პროექტებს, რაც უზრუნველყოფს მონაწილეობის შესაძლებლობებს. აკადემიური პერსონალი აქტიურად უჭერს მხარს და მენტორობს სტუდენტებს ამ ინიციატივების განმავლობაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა
- უსდ-ს მარეგულირებელი დოკუმენტები;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- გაფორმებული მემორანდუმები;
- ინტერვიუს შედეგები.

[რეკომენდაციები]

-

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

-

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის ფარგლებში გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდები და აქტივობები უზრუნველყოფენ პროგრამით დადგენილი ცოდნისა და უნარების მიღწევას, სტუდენტისთვის შესაბამისი კომპეტენციების განვითარებას.

პროგრამისთვის შერჩეულია სფეროსთვის/სწავლების საფეხურისთვის შესაბამისი სწავლების მეთოდები და აქტივობები. პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მისაღწევად, კურსების სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიყენება შედეგების მიღწევის სხვადასხვა

მეთოდი. ამ მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენება უზრუნველყოფს თეორიული და პრაქტიკული ცოდნისა და უნარების განვითარებას. სწავლა-სწავლების პროცესში სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება სხვადასხვა მეთოდები, აქტივობები, ფორმები და საშუალებები: ვერბალური მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, ინტერაქტიული ლექციები, დამოუკიდებელი მუშაობა, ჯგუფური მუშაობა, კომპიუტერულ და STEAM ლაბორატორიებში პრაქტიკული მუშაობა, სასკოლო პრაქტიკები, დისკუსია/დებატები, დემონსტრირება, სწავლების ინდუქციური და დედუქციური მეთოდები, ევრისტიკული მეთოდი, ანალიზი და სინთეზი, გონებრივი იერიში, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, ქეისების განხილვა, პორტფოლიოს წარმოება, პრეზენტაცია, სემინარები, მოდელირება, მოკლე პროექტების მომზადება და ელექტრონული რესურსებით სწავლება.

ჩამოთვლილთაგან, კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით სილაბუსებით განსაზღვრულია კურსში გამოყენებული სწავლების მეთოდები. კურსებით განსაზღვრული სწავლების მეთოდები, უზრუნველყოფენ სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის ფარგლებში საჭიროების შემთხვევაში, გამოიყენება სტუდენტთან ინდივიდუალური მიდგომები და ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით თითოეული სასწავლო კურსით განსაზღვრულია ლექტორთან დამატებითი კონსულტაციებისთვის გამოყოფილი დღე და ადგილი. საკონსულტაციო განრიგი სასწავლო პროცესის მსვლელობისას საჯაროდ ხელმისაწვდომია.

სტუდენტსა და სასწავლო კურსის განმახორციელებელ პერსონალს შორის ინფორმაციისა და მასალების გასაზიარებლად უნივერსიტეტის მიერ გამოყენებულია Moodleის ელექტრონული პლატფორმა http://moodle.tesau.edu.ge/ და https://tunels.tesau.edu.ge/. პროგრამის ათვისებისთვის გამოყენებული სწავლა-სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამით და კურსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და ითვალისწინებს პროგრამის და კურსის სპეციფიკას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;
- უსდ-ს მარეგულირებელი დოკუმენტები;
- LMS პლატფორმები;
- ინტერვიუს შედეგები.

[რეკომენდაციები]

–

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

–

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები	შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამოყენებული შეფასების კრიტერიუმები ობიექტური და გამჭვირვალეა. სტუდენტებთან და აკადემიურ პერსონალთან შეხვედრაზე დადასტურდა, რომ ლექტორები კურსის სტრუქტურას, მათ შორის შეფასების მეთოდოლოგიას, სასწავლო კურსის დასაწყისში აცნობენ სტუდენტებს. სტუდენტებს ელექტრონული პორტალის მეშვეობით წვდომა აქვთ სილაბუსებზე და დეტალების გაცნობა შეუძლიათ ნებისმიერ დროს. შეფასების მეთოდოლოგია და კრიტერიუმები დეტალურად არის გაწერილი წარმოდგენილ სილაბუსებში.
თვითშეფასების დოკუმენტში აღნიშნულია, რომ შიდა მარეგულირებელ აქტებთან ერთად, სტუდენტთა ცოდნის შეფასება და კრედიტის მინიჭება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №3 ბრძანების შესაბამისად. პროგრამაშიც და სილაბუსებშიც მითითებულია შეფასების სისტემა, თუმცა აღნიშნული ჩანაწერი ეყრდნობა მინისტრის №3 ბრძანების ძველ ვერსიას, კერძოდ გამოყენებულია შემდეგი ტერმინი: „მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა, მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა და ა.შ.“, რაც მინისტრის №3 ბრძანების ბოლო რედაქციაში აღარ გამოიყენება. შესაბამისად, რეკომენდირებულია ინსტიტუციამ შეფასების სისტემა შესაბამისობაში მოიყვანოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №3 ბრძანების მოქმედ რედაქციასთან.
უსდ-ის მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ფორმაში ნახსენები იყო, რომ შეფასების ზოგად კრიტერიუმებს შეიმუშავებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. ასევე შეფასების მეთოდოლოგიის ერთგვაროვნება შეინიშნება წარმოდგენილ სილაბუსებშიც, თუმცა აკადემიურ პერსონალთან შეხვედრისას აღინიშნა, რომ მათ აქვთ სრული აკადემიური თავისუფლება და ზოგადი შაბლონების მიღმა თავად შეუძლიათ შეცვალონ კრიტერიუმები. ამასთანავე, ლექტორებმა აღნიშნეს, რომ ეცნობიან სტუდენტების შეფასებებს, აკვირდებიან კურსის მსვლელობას და შესაბამისად ცვლიან შეფასების და სწავლების მეთოდებსაც.

უსდ-ში საგამოცდო პროცესი სრულად ელექტრონულია. სტუდენტებთან შეხვედრაზე დადასტურდა, რომ გამოცდები კოდირებულია და მიუკერძოებელია. ისინი იცნობენ გამოცდის გასაჩივრების წესს და პროცედურებს. გარდა ამისა, უსდ-ში მოქმედებს ქულის გაუმჯობესების სისტემა, შესაბამისად სტუდენტებს გამოცდის ქულის გაგებიდან ორი კვირის განმავლობაში შესაძლებლობა აქვთ, პირადი განცხადების საფუძველზე თავიდან დაწერონ გამოცდა.
აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ასევე სტუდენტებთან შეხვედრაზე გაჟღერდა, რომ ხშირად ტარდება ღონისძიებები აკადემიური კეთილსინდისიერების, ეთიკის და აკადემიური წერის სტანდარტების შესახებ. უსდ-ის მიერ მოწოდებული სტატისტიკური მონაცემებით და ინტერვიუების საფუძველზე დადასტურდა, რომ ტექსტის მექანიკური დამთხვევის მაჩვენებლის შესამოწმებლად უნივერსიტეტი იყენებს Turnitin პროგრამას, თუმცა უნივერსიტეტს არ აქვს შემუშავებული გენერაციული ხელოვნური ინტელექტის გამოყენების მარეგულირებელი წესი. სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ ხელოვნური ინტელექტის გამოყენება არ იკრძალება, თუმცა არ აქვთ მკაფიო ინსტრუქცია, რა ფორმით და რა საკითხებთან მიმართებით არის მისი გამოყენება დაშვებული. შესაბამისად, რეკომენდირებულია, რომ უნივერსიტეტმა შეიმუშაოს და სწავლებისა და კვლევის პროცესში დანერგოს გენერაციული ხელოვნური ინტელექტის გამოყენების მარეგულირებელი წესი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების დოკუმენტი
- პროგრამა და სილაბუსები
- თურნითინის გამოყენების მაჩვენებელი
- ინტერვიუს შედეგები

[რეკომენდაციები]

- რეკომენდირებულია ინსტიტუციამ შეფასების სისტემა შესაბამისობაში მოიყვანოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №3 ბრძანების მოქმედ რედაქციასთან.
- რეკომენდირებულია, რომ უნივერსიტეტმა შეიმუშავოს და სწავლებისა და კვლევის პროცესში დანერგოს გენერაციული ხელოვნური ინტელექტის გამოყენების მარეგულირებელი წესი.

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

-

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება

2.4 სტუდენტების შეფასება	მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტთა მხარდამჭერი მექანიზმების შეფასების შედეგად გამოიკვეთა, რომ უნივერსიტეტში არსებობს სტუდენტზე ორიენტირებული გარემო და მკაფიო მზაობა პროცესების შემდგომი გაუმჯობესების მიმართულებით.

სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ უნივერსიტეტში მოქმედებს საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციებში მონაწილეობის დაფინანსების მექანიზმი, ხოლო სტუდენტები რეგულარულად იღებენ ინფორმაციას სხვადასხვა პროგრამისა და პროექტის შესახებ. ამასთან, აკადემიურ პერსონალს აქვს სტუდენტთა საგრანტო პროექტებში ჩართვის ხელშეწყობის ვალდებულება, რაც მნიშვნელოვნად აძლიერებს სტუდენტთა კვლევით პოტენციალს და მათ აკადემიურ განვითარებას.

სტუდენტებს აქვთ ზოგადი წარმოდგენა სტუდენტური კლუბებისა და ორგანიზაციების შესახებ, თუმცა მათი ჩართულობა კურიკულუმს მიღმა აქტივობებში შედარებით მწირია. მათ აღნიშნეს, რომ გარკვეული გარე აქტივობები, მათ შორის სტუდენტური ექსკურსიები, ფინანსურ რესურსებთან არის დაკავშირებული და უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან ფინანსდება, რაც ხშირად ზღუდავს მონაწილეთა რაოდენობას ან იწვევს შერჩევას აკადემიური მოსწრების მიხედვით.

კარიერული განვითარების მიმართულებით გამოიკვეთა, რომ სტუდენტები აქტიურად იღებენ ინფორმაციას ვაკანსიების შესახებ, თუმცა პროფესიული პროფილის ფორმირება ძირითადად სასწავლო კურსების ფარგლებში მიმდინარეობს და სისტემური კარიერული მხარდაჭერის მექანიზმები ნაკლებად არის განვითარებული ადმინისტრაციულ დონეზე.

შესაბამისად, აღნიშნული მიმართულება საჭიროებს დამატებით გაძლიერებას და უფრო სტრუქტურირებულ მიდგომას.
აკადემიურ პერსონალთან ურთიერთობა სტუდენტებმა დადებითად შეაფასეს. საკონსულტაციო საათები განსაზღვრულია სილაბუსებით და უზრუნველყოფს ლექტორებთან ეფექტიან კომუნიკაციას. ასევე დადებითად შეფასდა ინდივიდუალური მიდგომა, რომელიც განსაკუთრებით გამოიხატება საგამოცდო გრაფიკის მოქნილობაში - სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ელექტრონული სისტემის მეშვეობით თავად აირჩიონ გამოცდის დრო.
ფსიქოლოგიური მხარდაჭერის სერვისთან დაკავშირებით სტუდენტებს აქვთ ინფორმაცია, თუმცა მისი პრაქტიკული გამოყენება დაბალია.
საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების კუთხით სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ საჯარო ლექციები შედარებით იშვიათად ტარდება, და საერთაშორისო პრაქტიკების გაზიარებას ძირითადად იმ უცხოური ლიტერატურიდან ახერხებენ, რომელიც შესაძლოა, რომ მითითებული იყოს კურსის სილაბუსში.
საერთო ჯამში, სტუდენტთა მხარდამჭერი მექანიზმების ფუნქციონირება დადებითად ფასდება. მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტთა ჩართულობა გარკვეულწილად ფრაგმენტულია, მათ აქვთ შესაბამისი ინფორმაცია და საჭიროების შემთხვევაში იციან, ვის მიმართონ. უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან შეხვედრამ დაადასტურა მათი მზაობა და მოტივაცია არსებული რესურსებისა და შესაძლებლობების ფარგლებში გააუმჯობესონ და განავითარონ სტუდენტური სერვისები.
მიუხედავად არსებული მხარდამჭერი მექანიზმებისა, სასურველია შემდეგი მიმართულებების გაძლიერება: სტუდენტური კლუბების განვითარება და ცნობადობის გაზრდა, რათა გაიზარდოს სტუდენტთა ჩართულობა კლასგარეშე აქტივობებში, კარიერული განვითარების სერვისების სისტემატიზაცია და გაფართოება, საერთაშორისო აქტივობებისა და საჯარო ლექციების რაოდენობის ზრდა, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტთა საერთაშორისო გამოცდილების გაღრმავებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუს შედეგები
- სტუდენტთა კლუბების აქტივობების ანგარიში
- ფსიქოლოგის ანგარიში

[რეკომენდაციები]

-

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- სასურველია სტუდენტური კლუბების განვითარება და ცნობადობის გაზრდა, რათა გაიზარდოს სტუდენტთა ჩართულობა კურიკულუმს მიღმა აქტივობებში.

- სასურველია კარიერული განვითარების სერვისების სისტემატიზაცია და გაფართოვება.

- სასურველია საერთაშორისო აქტივობებისა და საჯარო ლექციების რაოდენობის ზრდა, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტთა საერთაშორისო გამოცდილების გაღრმავებას.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	შესაბმისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებს.
- სამაგისტრო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

მაგისტრანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები	
სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	
მაგისტრანტების რაოდენობა	
თანაფარდობა - სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელები/მაგისტრანტები	

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

[რეკომენდაციები]

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
3.2 მაგისტრანტთა ხელმძღვანელობა	აირჩიეთ შესაბამისი

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 14 პირი, 11 აფილირებული აკადემიური პერსონალი და 3 მოწვეული სპეციალისტი. ყველა ჩართული პირი დასაქმებულია საქართველოს კანონის „უმაღლესი განათლების შესახებ" და თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტაციის შესაბამისად. აკადემიური პოზიციები ჩამოყალიბებულია შესარჩევი კონკურსის საფუძველზე, ხოლო მოწვეული პერსონალი შესაბამისი სფეროს პრაქტიკული გამოცდილების მიხედვით.

14 ჩართული პირიდან 13 ფლობს დოქტორის ან დოქტორთან გათანაბრებული კანდიდატის ხარისხს; ერთი მოწვეული პერსონალი არის დოქტორანტი. პროგრამის განხორციელებაში ჩართული 11 აკადემიური პერსონალიდან 3 არის პროფესორი და 8 ასოცირებული პროფესორი. პერსონალი მოიცავს სხვადასხვა დისციპლინის სპეციალისტებს, როგორებიცაა განათლების მეცნიერებები, ფსიქოლოგია, ინკლუზიური განათლება, STEAM, სამართალი, ინტერკულტურული განათლება, ვიზუალური პროგრამირება, რაც პროგრამის ინტერდისციპლინური სტრუქტურის საჭიროებებს სათანადოდ პასუხობს.

პერსონალის სამეცნიერო კვალიფიკაცია დასტურდება ბოლო 5 წლის (2021–2026) მდიდარი სამეცნიერო პროდუქტიულობით. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პროგრამის ხელმძღვანელების CV-ები და ინტერვიუ-პანელის მასალები. ხელმძღვანელთა გუნდი (სამი ასოცირებული პროფესორი) ერთობლივად მოიცავს სამეცნიერო-კვლევითი აქტიურობის ფართო სპექტრს: ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული აქვთ 8-ზე მეტი სამეცნიერო სტატია და 4 სახელმძღვანელო/სასწავლო რესურსი; მსოფლიო ბანკის CIF-ის, USAID-ის, Erasmus+-ის, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის, EU 7th Framework-ის, და UNICEF-ის საგრანტო პროექტებში ისინი მკვლევარების და ხელმძღვანელის ფუნქციებს ასრულებდნენ. პროგრამის ხელმძღვანელებს საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებში აქვთ მოხსენებები (ლუდვიგ მაქსიმილიანის უნივერსიტეტი, მიუნხენი; კავკასიის უნივერსიტეტი, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი). ამასთანავე, ხელმძღვანელთა გუნდი პირდაპირ მონაწილეობდა მასწავლებლის მომზადების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის, ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და ინკლუზიური განათლების სახელმწიფო სტანდარტების შემუშავებაში, რაც პროგრამის ეროვნულ საგანმანათლებლო პოლიტიკასთან კავშირს ინსტიტუციური გამოცდილებით ამყარებს.

პანელის ინტერვიუები ადასტურებს, რომ პროგრამაში ჩართული სხვა აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობა და კვალიფიკაცია შეესაბამება მათ საფეხურს, თანამდებობასა და მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის შესაბამის სასწავლო კომპონენტებს.

მოწვეული პერსონალი (#3) ჩართულია კომპიუტერული ტექნოლოგიების სწავლების მეთოდიკის, ვიზუალური პროგრამირებისა და ინტერკულტურული განათლების კურსებში. მათი კვალიფიკაცია, შესაბამის სფეროებში სამეცნიერო ან პრაქტიკული გამოცდილება, ადეკვატურია პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად.

კომპიუტერული ტექნოლოგიების სწავლების მეთოდიკის კურსებს ამჟამად მოწვეული სპეციალისტები უძღვებიან. ეს გადაწყვეტილება პროგრამის საწყის ეტაპზე გამართლებულია, თუმცა გრძელვადიანი სტაბილურობის უზრუნველსაყოფად სასურველია, უნივერსიტეტმა თანდათანობით განავითაროს ამ მიმართულებით შიდა, აფილირებული აკადემიური კადრი.

პროგრამაში ჩართული 14 პერსონალისა და 20-სტუდენტიანი ჯგუფის (მაქსიმალური კონტინგენტი) თანაფარდობის კოეფიციენტი დადებითია: აფილირებული აკადემიური

პერსონალი/სტუდენტთა შეფარდება - 0.55-ია, ხოლო აკადემიური პერსონალი/მოწვეული პერსონალის შეფარდება — 3.67:1. ეს მაჩვენებლები უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის შეუფერხებელ წარმართვას.

პერსონალის დატვირთვა განსაზღვრულია „პერსონალისა და სტუდენტების თანაფარდობისა და სტუდენტთა ზღვრული კონტინგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგიის" და „პროგრამაში ჩართული აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის" დოკუმენტების შესაბამისად. ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადასტურდა, რომ პერსონალს გააჩნია სემესტრულად განახლებადი დატვირთვის სქემა, რომელიც მოიცავს სასწავლო, სამეცნიერო-კვლევით და ადმინისტრაციულ დატვირთვას.

პროგრამას სამი ხელმძღვანელი ჰყავს, რაც თავისთავად მმართველობითი სიმყარის მნიშვნელოვანი გარანტიაა. ეს მოდელი სამ ძირეულ უპირატესობას განაპირობებს: ხელმძღვანელობის ერთ პირზე კონცენტრაციის რისკი გამოირიცხება, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახალი პროგრამის პირობებში; სამივე ხელმძღვანელის სპეციალიზაციები ერთმანეთს ავსებს და ერთობლივად მოიცავს პროგრამის ყველა ძირეულ კომპონენტს; ხოლო გარე ინსტიტუციებში დასაქმებული ხელმძღვანელების პარალელურად, მესამე ხელმძღვანელი უზრუნველყოფს პროგრამის უწყვეტ მართვას.

ყოველ ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისა და ხელმძღვანელობისთვის საჭირო განათლება, სამეცნიერო პროდუქტიულობა და პრაქტიკული გამოცდილება. ისინი პირდაპირ არიან ჩართული სასწავლო კურსების მართვაში (სასკოლო პრაქტიკა, STEAM კონცეფცია, ინკლუზიური განათლება, პრაქტიკის კვლევა), სტუდენტების კონსულტირებაში, თვითშეფასების ჯგუფის მართვაში და პროგრამის შემდგომი განვითარების გეგმების კოორდინაციაში. ეს გარემოება ინტერვიუების დროს ხელმძღვანელთა მხრიდანაც და პანელის სხვა წევრების მხრიდანაც ცალსახად დადასტურდა.

პროგრამის სტუდენტები უზრუნველყოფილნი იქნებიან სათანადო ადმინისტრაციული მხარდაჭერით. პროგრამის ადმინისტრაციულ ჩარჩოს ქმნიან: განათლებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, ფაკულტეტის დეკანის თანაშემწეები, განათლებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელი და სპეციალისტი, ასევე რექტორის მოადგილეები სასწავლო და სამეცნიერო დარგებში. სასწავლო პროცესის ადმინისტრირებას ემსახურება სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, ხოლო ტექნიკურ მხარდაჭერას — კომპიუტერული ცენტრებისა და ბიბლიოთეკის პერსონალი.

ადმინისტრაციული პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მათ ფუნქციებს; შესაბამისი სამუშაო აღწერილობები რეგულირდება უნივერსიტეტის მარეგულირებელი დოკუმენტებითა და საქართველოს კანონმდებლობით. ვიზიტის ფარგლებში ჩატარებულმა ინტერვიუებმა დაადასტურა, რომ სტუდენტებს ხელი მიუწვდებათ ადმინისტრაციულ სამსახურებზე, ხოლო სტუდენტის ფსიქოლოგიური დახმარების ცენტრი, სასკოლო პრაქტიკის კოორდინაცია და ბიბლიოთეკის სერვისი ოპერატიულ რეჟიმში ფუნქციონირებს.

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი[5]	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით	მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი

[5] ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

			დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი[6]	
სულ აკადემიური პერსონალი	14	11	11	11
- პროფესორი	3	3	3	3
- ასოცირებული პროფესორი	8	8	8	8
- ასისტენტ-პროფესორი	0	0	0	0
- ასისტენტი	0	0	0	0
მოწვეული პერსონალი	3	3	2	_
სამეცნიერო პერსონალი	0	0	0	_
მათ შორის, საერთაშორისო პერსონალი	0	0	0	0

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის CV-ები და საკონკურსო მასალები
- პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები და სამუშაო აღწერილობები
- აკადემიური/მოწვეული პერსონალის სემესტრული დატვირთვის სქემა
- პერსონალისა და სტუდენტების თანაფარდობისა და სტუდენტთა ზღვრული კონტინგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია და პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის დოკუმენტი
- რაოდენობრივი მაჩვენებლების დანართი (დანართი 1)
- პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციების მარეგულირებელი დოკუმენტი
- ინტერვიუს შედეგები

[რეკომენდაციები]

-

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

[6] ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტების განმახორციელებელი შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

- პროგრამის გრძელვადიანი სტაბილურობის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია კომპიუტერული ტექნოლოგიების სწავლების მეთოდიკის კომპონენტში შიდა, აფილირებული აკადემიური კადრის თანდათანობითი განვითარება.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
4.1 ადამიანური რესურსი	შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

4.2 მაგისტრანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	ნაშრომების ხელმძღვანელები	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები	მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი
სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა			
- პროფესორი			
- ასოცირებული პროფესორი			
- ასისტენტ-პროფესორი			
მოწვეული პერსონალი			_
სამეცნიერო პერსონალი			_

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

[რეკომენდაციები]

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
[4.2 მაგისტრანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია]	აირჩიეთ შესაბამისი

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში რეგულარულად ტარდება პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის შეფასება და კმაყოფილების კვლევები. შეფასების შედეგები გამოიყენება აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის. პერსონალის მიერ დადასტურებულია, რომ ისინი იღებენ მხარდაჭერას პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებით.

პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასება მოიცავს სასწავლო და კვლევითი საქმიანობის ასპექტებს.

სამეცნიერო პროდუქტიულობა:

- უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების წესი. ეს წესი განსაზღვრავს შიდაშეფასების მექანიზმებსა და შემდგომი რეაგირების პროცედურებს.
- პროდუქტიულობა განისაზღვრება 5 კატეგორიით. ერთი სრული კალენდარული წლის განმავლობაში სამეცნიერო საქმიანობის დადებითად შეფასებისთვის, სავალდებულოა, აკადემიურმა პერსონალმა აქტივობები განახორციელოს მაქსიმუმ ხუთი კატეგორიიდან მინიმუმ სამ სხვადასხვა კატეგორიაში.
- პერსონალი ყოველწლიურად ავსებს შესაბამის ანგარიშს.
- ხუთივე კატეგორიაში აქტივობების დადასტურების შემთხვევაში, უნივერსიტეტი ახორციელებს პერსონალის მოტივირებას მადლობის გამოცხადებისა და ფინანსური წახალისების გზით.

სწავლების ხარისხი: შემუშავებულია პროფესორ-მასწავლებლების შეფასების კითხვარები. ამ კითხვარების მეშვეობით ფასდება ისეთი უნარები, როგორიცაა სწავლებისა და შეფასების ადეკვატური მეთოდების შერჩევა, სტუდენტებთან ეფექტური კომუნიკაცია და შეფასების უნარები და ა.შ.

კმაყოფილების კვლევა: უნივერსიტეტი რეგულარულად ატარებს პერსონალის კმაყოფილების კვლევას.

პროფესიული განვითარების შესაძლებლობები

- ტრენინგები და ვორქშოფები: უნივერსიტეტი პერსონალს სთავაზობს მრავალფეროვან ტრენინგებსა და ვორქშოფებს. ტრენინგების შეთავაზებისას გათვალისწინებულია როგორც ინსტიტუციური საჭიროება, ასევე პერსონალის სურვილები და ინტერესები. პერსონალის საჭიროებების (მათ შორის სასურველი ტრენინგების თემატიკის) განსაზღვრა ხდება კმაყოფილების კვლევის კითხვარით. ბოლო პერიოდში ჩატარებული ტრენინგებიდან აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა დაასახელა ტრენინგები "ხელოვნური ინტელექტის გამოყენება სასწავლო პროცესში" და და "ციფრული ჰიგიენა და მონაცემთა უსაფრთხოება"
- შიდა კონკურსები და დაფინანსება: უნივერსიტეტში ცხადდება შიდა კონკურსები აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ წარდგენილი პროექტების დაფინანსებისთვის (ჩატარდა სამჯერ). ამ პროექტების ფარგლებში გამოქვეყნდა მონოგრაფიები.

საერთაშორისო აქტივობები:

- პროექტები: ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა პერსონალის საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის შესაძლებლობა. პროექტებიდან მიღებული ცოდნა და რესურსები გამოიყენება საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებისთვის, რაც მოიცავს არსებული სასწავლო კურსების განახლებას და ახალი კურსების შემუშავებას.
- გაცვლითი პროექტები: აკადემიურ პერსონალს აქვს გაცვლით პროექტებში მონაწილეობის შესაძლებლობა. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს შერჩევის კრიტერიუმებისა და შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას.

კონფერენციები: უნივერსიტეტში რეგულარულად ტარდება კონფერენციები, რომლებიც ხელს უწყობს პერსონალის პროფესიულ ზრდას:

- საუნივერსიტეტო კონფერენცია: „კულტურათაშორისი დიალოგები“
- განათლებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კონფერენცია: „განათლება, კვლევა და პრაქტიკა“
- საერთაშორისო STEM კონფერენცია (ჩატარდა ორჯერ).
- სტუდენტური კონფერენციები.

თანამშრომლობა სკოლებთან: USAID-ის მხარდაჭერით განხორციელდა საბაზო განათლების პროგრამა, რომელმაც კახეთის რეგიონის 193-ვე სკოლა მოიცვა. ამ თანამშრომლობის ფარგლებში პერსონალი ესწრებოდა გაკვეთილებს, ეცნობოდა სკოლების გამოწვევებს, ხოლო მათი გადაჭრის გზები და მეთოდები აისახებოდა საგანმანათლებლო პროგრამებში.

აკადემიური და მოწვეული პერსონალის მოსაზრებით, აღნიშნული ხელშეწყობა მნიშვნელოვანია მათი პროფესიული განვითარებისთვის და სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უწივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების წესი;
- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმები;
- სამეცნიერო- კვლევითი პროექტების დაფინანსების დებულება
- ინტერვიუს შედეგები

[რეკომენდაციები]

-

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

-

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
[4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება]	შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამას მხარს უჭერს ადეკვატური მატერიალური, ლაბორატორიული, საინფორმაციო და ციფრული რესურსები, მათ შორის ტექნოლოგიურად აღჭურვილი აუდიტორიები, კომპიუტერული ლაბორატორიები (კომპიუტერული კლასები, სტემ ლაბორატორია, ESTA ლაბორატორია) და IT ინფრასტრუქტურა. ცენტრალიზებული სისტემების, ინტერნეტ კავშირის და პროგრამული უზრუნველყოფის ხელმისაწვდომობა აჩვენებს, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს შესაბამის გარემოს განათლების მიწოდებისთვის. ეს რესურსები შეესაბამება დარგის საჭიროებებს და საკმარისია როგორც რაოდენობით, ასევე ხარისხით.

უსდ-ში არსებობს სისტემური მიდგომა რესურსების განახლების მიმართ. ყოველწლიურად ხდება კომპიუტერული ტექნიკის განახლება/ახლის შეძენა, საბიბლიოთეკო ბაზის განახლება/გაციფრულება და სხვა. ახალი ელექტრონული სამეცნიერო მონაცემთა ბაზების ზრდა და მუდმივი მონიტორინგი, მიუთითებს აქტიურ ძალისხმევაზე განახლებული რესურსების შესანარჩუნებლად.

თუმცა გასათვალისწინებელია, რომ მატერიალურ-ტექნიკური რესურსების დათვალიერების პროცესში გამოიკვეთა, რომ კომპიუტერული ტექნიკის ნაწილი აღჭურვილია 8 GB ოპერატიული მეხსიერებით (RAM). არსებული რესურსი მოცემული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გამოყენებული პროგრამული უზრუნველყოფისთვის, მათ შორის საოფისე პროგრამებისა და Scratch-ის გარემოში მუშაობისთვის, ამ ეტაპზე საკმარისია. თუმცა, პროგრამის შემდგომი განვითარების, თანამედროვე ტექნოლოგიური მოთხოვნებისა და შესაძლო დამატებითი პროგრამული ინსტრუმენტების ინტეგრირების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია ტექნიკური რესურსების ეტაპობრივი განახლება.

როგორც დაბეჭდილი, ასევე ციფრული მასალების ხელმისაწვდომობა, რომელსაც მხარს უჭერს ელექტრონული კატალოგი და დისტანციური წვდომის სისტემა, უზრუნველყოფს, რომ სტუდენტებმა და პერსონალმა შეძლონ საჭირო რესურსებზე ეფექტურად წვდომა. მნიშვნელოვანია, რომ ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს წვდომას საერთაშორისოდ აღიარებული სამეცნიერო მონაცემთა ბაზების ფართო სპექტრზე, მათ შორის Scopus, ScienceDirect, Cambridge University Journals, SAGE, e-Duke, Elsevier. უსდ იყენებს Turnitin პროგრამას პლაგიატის გამოსავლენად.

მატერიალური და ციფრული რესურსები თავისუფლად და თანაბრად ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და პერსონალისთვის. მონაცემთა ბაზებსა და ციფრულ პლატფორმებზე უზრუნველყოფილია დისტანციური წვდომის ხელმისაწვდომობა.

ინტერვიუების დროს დადასტურდა, რომ ეფექტიანი და სწრაფი კომუნიკაციისათვის მთელს უნივერსიტეტში მუშაობს ელექტრონული პლატფორმა, რომლის მეშვეობითაც სტუდენტებს საშუალება აქვთ ჰქონდეთ წვდომა სილაბუსებსა და სასწავლო მასალებზე, ასევე თვალი ადევნონ შეფასებებს და საკუთარ აკადემიურ მიღწევებს. სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ელექტრონული სისტემის მეშვეობით თავად აირჩიონ გამოცდის დრო. უნივერსიტეტის

ელექტრონულ პლატფორმას გამოკითხვის პროცესის უზრუნველყოფის მიზნით ასევე იყენებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურიც.
სტუდენტებს ხელმისაწვდომ რესურსებთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე წვდომა შეუძლიათ უსდ-ს ვებ საიტებისა და სისტემების მეშვეობით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უნივერსიტეტის აუდიტორიები;
- უნივერსიტეტის სასწავლო IT ლაბორატორიები;
- ბიბლიოთკა,
- უნივერსიტეტის ვებგვერდი;
- სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული პლატფორმები;
- ვიზიტის/დათვალიერების შედეგები.

[რეკომენდაციები]

-

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- მიზანშეწონილია კომპიუტერული ტექნიკის ეტაპობრივი გაძლიერება.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
4.4. მატერიალური რესურსი	შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

დაწესებულებამ წარმოადგინა პროგრამის ბიუჯეტი. პროგრამის ბიუჯეტი გათვლილია 20 სტუდენტზე და მოიცავს როგორც პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ანაზღაურების ხარჯებს, ასევე კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების და სხვა სტუდენტური აქტივობების, კვლევებისა და განვითარების

ღონისძიებების მიზნით გაწეული ხარჯებს, წიგნადი ფონდის, ელექტრონული რესურსების და ლაბორატორიული აღჭურვილობის განახლების ხარჯებს.
ექსპერტების მიერ დასმულ კითხვაზე პროგრამის ბიუჯეტის ფორმირების შესახებ, დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ ბიუჯეტის შედგენისას ხდება პროგრამის საჭიროებების შეფასება, პრიორიტეტული ხარჯების გამოყოფა და გათვალისწინება. დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, ბიუჯეტის ფორმირების პროცესში იყო გათვალისწინებული სხვადასხვა რისკები, და პროგრამის ბიუჯეტის შემოსავლების ნაწილის შემცირების შემთხვევაში, დაწესებულება მოახდენს პროგრამის განხორციელებისა და განვითარებისათვის ყველა აუცილებელი აქტივობის (მათ შორის, ინფრასტრუქტურის განვითარება, ადამიანური რესურსების განვითარების ტრეინინგები, გადამზადების კურსები, სხვ.) დაფინანსებას დაწესებულების ცენტრალური ბიუჯეტიდან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის ბიუჯეტი;
- ინტერვიუს შედეგები.

[რეკომენდაციები]

-

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

-

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა და პროცედურები ეფუძნება პრინციპს „დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე (PDCA)":

- უნივერსიტეტში შემუშავებულია „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმების დებულება", რომელიც განსაზღვრავს, რომ უნივერსიტეტში მოქმედი შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ითვალისწინებს PDCA ციკლს.
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა და პროცედურები, შესაბამისი დებულებებით, საჯაროდ ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდზე.
- აღნიშნული დებულება განსაზღვრავს შიდა შეფასების, საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო პროცესის, პროფესორ-მასწავლებლების შეფასების სისტემებს და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურობის შეფასების ასპექტებს.

პროგრამაში ჩართული პერსონალი აქტიურად თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში:

- პროგრამაში ჩართულმა პერსონალმა, სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა დაადასტურეს მათი ჩართულობა საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან თანამშრომლობით.
- სააკრედიტაციო პაკეტში წარმოდგენილია პროგრამის შეფასების ფორმა, სასწავლო კურსის შეფასების ფორმა და დასწრების ფორმა, რაც ადასტურებს შეფასების მექანიზმების არსებობას.
- ინტერვიუებზე მონაწილეების მიერ დადასტურდა რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რეკომენდაციები გათვალისწინებულ იქნა პროგრამის შემუშავების პროცესში.

პროგრამაში ჩართული პერსონალი ითვალისწინებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებისას - პროგრამაში ჩართულ პერსონალს ეცნობება ხარისხის უზრუნველყოფის კვლევების შედეგად მიღებული შედეგები, რაც გამოიყენება პროგრამების განვითარებისთვის.

პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის შედგენა იყო თანამშრომლობითი პროცესი, რომელშიც ჩართული იყო ყველა ძირითადი დაინტერესებული მხარე: საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელები, განათლებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, აკადემიური და მოწვეული პერსონალი, მომიჯნავე პროგრამის სტუდენტი და კურსდამთავრებული, დამსაქმებელი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის

ხელმძღვანელი. თვითშეფასების ჯგუფის, აკადემიური პერსონალის სესიაზე მონაწილეებმა დაადასტურეს რომ ჩართული იყვნენ პროგრამის შემუშავებაში როგორც დარგობრივი და თემატური, ასევე პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგების და პროგრამის სტრუქტურის განსაზღვრის საკითხებში. შეხვედრები ტარდებოდა ინტენსიურად, მონაწილეების აქტიური ჩართულობით. შესწავლილი იყო ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნები, მათ შორის რეგიონის სკოლების საჭიროების მნიშვნელობის გათვალისწინებით. სესიებზე მონაწილეებმა დაადასტურეს რომ პროგრამის შემუშავების პერიოდში ხდებოდა მათი მოსაზრებების გათვალისწინება, ასევე, დაასახელეს მათი შეთავაზებები, რომლებიც გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისას. მაგალითად, ვიზუალური პროგრამირება როგორც ახალი სასწავლო კურსი დაემატა საგანმანათლებლო პროგრამას აკადემიური პერსონალის მოსაზრების გათვალისწინებით, ვინაიდან აღნიშნული კურსით მიცემული ცოდნა და უნარები მნიშვნელოვანია სფეროსთვის, მოსწავლეების და შრომის ბაზრის საჭიროებისთვის.

შიდა ხარისხის სამსახური, პროგრამაში ჩართულ პერსონალთან ერთად, ზრუნავს თვითშეფასების ანგარიშზე მუშაობის დროს გამოვლენილი საკითხების განვითარებაზე:

- პერსონალმა და პროგრამის ხელმძღვანელებმა აღნიშნეს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მნიშვნელოვანი წვლილი და ჩართულობა პროცესში,
- თვითშეფასების ჯგუფი და პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირები ერთობლივად მუშაობდნენ პროგრამის სრულყოფაზე.

მიუხედავად აღწერილი თანამშრომლობისა, დოკუმენტაციაში გამოვლენილია კონკრეტული საკითხები, რომელთა აღმოფხვრაზეც შიდა ხარისხის სამსახურმა და პროგრამის პერსონალმა უნდა იმუშაოს: საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული შეფასების სისტემის შესაბამისობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება #3 „კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ მოქმედ ვერსიასთან, საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების სამივე დონეზე გასვლა, სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის გაუმჯობესება.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა, მიუხედავად პროგრამის შემუშავებაში პერსონალთან და დაინტერესებულ მხარეებთან აქტიური ჩართულობისა და PDCA პრინციპებზე დაფუძნებული მექანიზმების არსებობისა, უნდა გააძლიეროს დოკუმენტაციის დასკვნითი შემოწმებისა და ვალიდაციის პროცესი. ეს განსაკუთრებით ეხება ტექნიკურ და რეგულაციურ შესაბამისობას, რათა თავიდან იქნას აცილებული მითითებული ხარვეზები, რაც მიუთითებს შიდა შეფასების მექანიზმების დეტალური კონტროლის გაუმჯობესების საჭიროებაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება
- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმები
- სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია
- სწავლის შედეგების შეფასების რუკა
- პროგრამა და სილაბუსები
- ინტერვიუს შედეგები
- უსდ-ს ვებ გვერდი

[რეკომენდაციები]

- რეკომენდებულია, შიდა შეფასების პროცედურების/მექანიზმების (ფორმების) დახვეწა, პროგრამის დოკუმენტაციის შემოწმების და ვალიდაციისას ტექნიკურ თუ მარეგულირებელ მოთხოვნებთან შეუსაბამობის პრევენციისა და აღმოფხვრის მიზნით.

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

-

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
5.1. შიდა ხარისხის შეფასება	მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

გარე შეფასების მექანიზმებია ავტორიზაცია და აკრედიტაცია, რომელსაც განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი ახორციელებს. თვითშეფასების ჯგუფის ინფორმაციით სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის შემუშავებისას გაითვალისწინეს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოსა და აკრედიტაციის ექსპერტების მიერ სხვა საგანმანათლებლო პროგრამების/კლასტერის აკრედიტაციისას გაცემული ის რეკომენდაციებიც, რომლებიც რელევანტური იყო ამ საგანმანათლებლო პროგრამისთვისაც.

უსდ საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისას პროგრამის განვითარების მიზნით იყენებს განმავითარებელ კოლეგიალურ შეფასებას. პროგრამა შეფასებულია აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის დეკანის, ასოცირებული პროფესორის მ.ბ.-ს მიერ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სხვა უსდ-ს დარგის სპეციალისტის შეფასება ;
- ინტერვიუს შედეგები.

[რეკომენდაციები](#)

–

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის](#)

–

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
5.2. გარე ხარისხის შეფასება	შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშის (SER), საკრედიტაციოდ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადასტურდა, რომ საგანმანათლებლო პროგრამები ექვემდებარება რეგულარულ მონიტორინგს და პერიოდულ გადახედვას. ეს პროცესები მოიცავს აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტებისა და პოტენციური დამსაქმებლების მონაწილეობას. პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ინფორმაცია სისტემატურად გროვდება და ანალიზდება, ხოლო შედეგები გამოიყენება პროგრამისა და მისი სასწავლო კურსების უწყვეტი გაუმჯობესებისა და მოდერნიზაციისთვის.
„ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმების“ უნივერსიტეტის დებულებაგანსაზღვრავს ასპექტებს, რომელსაც მოიცავს ხარისხის შიდა შეფასება, განსაზღვრულია ის მექანიზმები და რაოდენობრივი და თვისებრივი ინდიკატორები, რომლებიც გამოიყენება საგანმანათლებლო პროგრამების, მათი განხორციელების დახვეწისა და გაუმჯობესების მიზნით. სააკრედიტაციო პაკეტში (საქაღალდე 5) ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმების დებულებასთან ერთად წარმოდგენილია პროგრამის შეფასების ფორმა, სასწავლო კურსის შეფასების ფორმა, სასწავლო კურსზე დასწრების ფორმა.

სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა რომ უნივერსიტეტში რეგულარულად ტარდება სტუდენტების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, კურსდამთავრებულების გამოკითხვები სწავლების ხარისხის, ასევე სწავლების დამხმარე სერვისების, მათ შორის ბიბლიოთეკისა და სხვა დამხმარე ერთეულების ეფექტურობის შესახებ. გამოკითხვები ტარდება ანონიმურად პასუხების სანდოობის უზრუნველსაყოფად. გარდა ამისა, ტარდება კურსდამთავრებულთა გამოკითხვები საგანმანათლებლო პროგრამების დახვეწის მიზნით. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური რეგულარულად სწავლობს საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტების აკადემიური მოსწრებას და აანალიზებს კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) მიერ შემუშავებულ სტუდენტთა რანჟირების სკალის მონაცემებთან. განისაზღვრება პოტენციური გამოწვევების მოსაგვარებლად შესაბამისი ზომები. უკუკავშირი ეცნობება პასუხისმგებელ პირებს, ხოლო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შემდგომში აკონტროლებს დაგეგმილი გაუმჯობესების ღონისძიებების განხორციელებას და აცნობებს შედეგებს შესაბამის დაინტერესებულ მხარეებს.

საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებისა და დახვეწისთვის უსდ-ში პერიოდულად ხდება პროგრამის შედარება ადგილობრივ და საერთაშორისო უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან. თვითშეფასების ჯგუფის მონაწილეებმა დაადასტურეს რომ საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების და განვითარების პროცესში შეისწავლეს ანალოგიური პროგრამები და მათი გამოცდილება გამოიყენეს წარმოდგენილი პროგრამის შემუშავებისას.

აკადემიური და მოწვეული პერსონალის სასწავლო საქმიანობის შეფასება ხორციელდება სასწავლო კურსის სწავლების პროცესზე დაკვირვების შეფასების ანკეტის, ლექტორის/სასწავლო კურსის შეფასების კითხვარის და ა.შ, კვლევების საფუძველზე, რომელსაც ახორციელებს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. სტუდენტებმა და აკადემიურმა/მოწვეულმა პერსონალმა დაადასტურა რომ უნივერსიტეტში რეგულარულად ტარდება აღნიშნული კვლევები და ისინი მონაწილეობას იღებენ აღნიშნულ კვლევებში.

გარდა აღნიშნული კვლევებისა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს ყოველწლიურად აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასებას. შეფასება ხორციელდება შესაბამისი ფორმის შესაბამისად განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით, რომლებიც ასევე წინასწარ ცნობილია შესაფასებელი პირებისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმები
- ჩატარებული კვლევები
- ინტერვიუს შედეგები

[რეკომენდაციები]

–

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

–

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში):

ხელმოწერები:

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა

მაია ჩქოტუა

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

სახელი, გვარი, ხელმოწერა

ნანი არაბული

სახელი, გვარი, ხელმოწერა

ნინო ჯოჯუა

სახელი, გვარი, ხელმოწერა

თამარ რაზმაძე